645
1979

# საქართველოს ქალი

მაისი
№ 5 1979 წ.

ISSN 0321-1509



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვულოცავთ

50 წელი შეუსრულდა ჩვენს სახელოვან შემოქმედს, მთელი საქართველოს საყვარელ პოეტს — მუხრან მაჭავარიანს. მშობლიური და ახლობელია მისი პოეზია ჩვენთვის, სულიან-ხორციანად ვაჟკაცური და ამაღლებული... მუხრან მაჭავარიანი დიდ ამაგს დებს ჩვენს პატარებსაც, ხვალინდელი საქართველოს პატრონებს: იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ჟურნალ „დილას“.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და მკითხველები გულით ულოცავენ მუხრან მაჭავარიანს საიუბილეო თარიღს. გვინდა, მისივე ლექსის სტრიქონებით მივმართოთ ჩვენს მუხრანს:

...ირბინე! — უხმოდ გეძახის ველი!
იფრინე! — უხმოდ გეძახის ზეცა.
ფრინველებივით გალობენ ხენი;
დიდება მიწას!
დიდება ზეცას!

## საქართველო

ვისაც უყვარს საკუთარი სამშობლო და მინდორ-ველი,
ვინც არ უნდა იყოს იგი — ფინელი თუ ინდოელი,
ვინც გლეხია,
ვინც მუშაა,
ვინც სიმართლის მძებნელია —
საქართველო არ უყვარდეს — ყოვლად შეუძლებელია.

კიდევ უფრო, კიდევ უფრო იღორძინე, საქართველოვ,
კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო,
კიდევ ერთი რუსთაველი,
კიდევ ერთხელ აამღერო:
შენც იხარო, —
ჩვენც გვახარო, —
გამხნევდე და გაგვამხნეო!
გევალება,
საქართველოვ!
შეგიძლია,
საქართველოვ!
გაგიმარჯოს,
საქართველოვ!

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# მშვიდობა, შრომა, მაისი

16193

1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

9 მაისი — უბედნიერესი დღე, რომელიც სამუდამოდ დამკვიდრდა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც დღე სიცოცხლის გადარჩენისა და მშვიდობის დღესასწაული. დღე, როდესაც ჩვენმა ხალხმა იარაღი დააყრევინა კაცობრიობის უსასტიკეს მტერს — ფაშიზმს და ბედნიერების იმედები დაუბრუნა ხალხებს.

მაისი — სიმღერის დღესასწაული.

მაისი — ყვავილების დღესასწაული.

და როგორ ესადაგება მთელი თავისი არსით ეს მაისი ბავშვის საერთაშორისო წელიწადს, რადგან ყველაფერი უძვირფასესი, რაც კაცობრიობას შრომითა და ბრძოლით მოუპოვებია და რითაც ბუნებას დავუჯილდოვებივართ ჩვენი ცხოვრების ყვავილებისათვის, ჩვენი ბავშვებისათვის გვსურს.

„გადააგდო სავარცხელი, — გაჩნდა ტყე, გადაღვარა წყალი, — გაჩნდა ზღვა“ — ოცნებობდა ზღაპარი.

დღეს ამ ზღაპრულ გმირად ქცეული ადამიანი ქმნის ზღვებს, ტყეებს, აშრობს ჭაობებს, სიცოცხლეს ამკვიდრებს უკაცრიელ ველებზე, მოგზაურობს კოსმოსში...

გათავისუფლებული შრომის მაისი გამოსულა ველად, მაისი — ყოვლის შემძლე, ზღაპრული შემოქმედი.

გამოსულა და გაჯიბრებია წინა მაისებს, რომ უკეთ დააყვავილოს და გამოკვირტოს ნაყოფი ველ-მინდვრებზე, ბაღვენახებში, პლანტაციებში, ამრავლოს ქვეყნის ხვავი და ბარაქა.

დიდ, სასიკეთო შეჯიბრში ჩართულან ადამიანებიც. მუშა — მუშას გაჯიბრებია, მეცნიერი — მეცნიერს, პოეტი — პოეტს, სპორტსმენი — სპორტსმენს, ხელოვანი — ხელოვანს...

ნაირფერად ირთვება ყვავილების დღესასწაული.

მღერის მაისი...

და რა ძნელი წარმოსადგენია, რომ სადღაც კვლავ ეჯიბრებიან ადამიანები ერთმანეთს სიკვდილის ახალ-ახალი იარაღის გამოგონებაში; რომ სადღაც კიდევ დააბოტებს ბოროტების უმეცარი აჩრდილი და ხან აქ, ხან იქ ცდილობს გააჩაღოს გამანადგურებელი ომების ახალი კერა; რომ ჯერაც ბოლავს ახალი ნახანძრალები ვიეტნამის განაწამებ მიწაზე: რომ 34 წლის წინ, მეორე მსოფლიო ომის მიერ შთანთქმულ 50 მილიონ სიცოცხლეს კიდევ მიემატა ათასობით მსხვერპლის სახელი, კიდევ ბევრმა დედამ ჩაიცვა ძაძა, ბევრი დაქვრივდა, ბევრმა ბავშვმა დაკარგა მშობლები და თავშესაფარი...

და ეს მაშინ, როდესაც გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის თაოსნობით ჩვენს პლანეტაზე დიდი საერთაშორისო მოძრაობა არის გაშლილი, მსოფლიოს ყოველი რეგიონის ბავშვთა ბედნიერების დასამკვიდრებლად.

მაგრამ ბოროტებას გამარჯვება არ უწერია!

მშვიდობისა და შრომის მაისი, სიმღერისა და ყვავილების დღესასწაული ძალაში შედის.

ფეხბედნიერი იყოს გაზაფხულის ეს დიდებული დღესასწაული.

დიდება მაისს!

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფერმის ოპერატორი დალი თათოშვილი

# სოფელი უდე

რეპორტაჟი

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები





კომკავშირული რგოლი

ზემოთ, მდინარე ქვაბლოვანის მარჯვნივ, ერუშეთის მთების კალთეზე სოფელია შეფენილი, მას დასავლეთით ციხის ყელის ქარაფოვანი სალი კლდეები აკრავს, ხოლო სამხრეთით — უფრო მაღალი გორაკ-ბორცვიანი ზეგანი.

შუა საუკუნეებში მესხეთ-ჯავახეთი მჭიდროდ იყო დასახლებული. ჟამთა სიავემ მოსპო და ნაცარტუტად აქცია მრავალი სოფელი. მოსახლეობის ნაწილმა საქართველოს სხვადასხვა მხარეს შეაფარა თავი, ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილმა კი ტანჯვა-წამებით შეინარჩუნა ეროვნული სახე.

უდე ადიგენის რაიონის ყველაზე დიდი და ძლიერი სოფელია. მას ბევრი გაჭირვება უნახავს, მაგრამ ყოველთვის გმირულად იგერიებდა მტრის შემოსევებს.

კოპწია ორსართულიანი შენობების გვერდით აქა-იქ კიდევ გვხვდება მიწურები, რომლებიც გვერდიგვერდ მჭიდროდ მიკვრია ერთმანეთს. მრავალი შემოსევითა და დარბევით გაწამებმა მესხებმა გადაწყვიტეს მჭიდროდ დასახლებულიყვნენ და სოფელს ყუდე დაარქვეს. ყუდე — ძველ ქართულში დიდ სახლს ნიშნავდა. სწორედ ამიტომ არის სოფელში გვართამრავლობა (სამოცამდე გვარის ადამიანი ცხოვრობს).

უდის დასავლეთით, მაღალ კლდეზე ციხეა, რომელსაც კერპთაყვანისმცემლობის პერიოდს მიაწერენ. ციხე საიდუმლო გვირაბით ყოფილა სოფელს დაკავშირებული. სოფელში არსებული ხუთი ეკლესიიდან მხოლოდ ორმა მოაღწია ჩვენამდე.

პირველი კოლმეურნეობა უდეში 1929 წელს შეიქმნა. მისი პირველი თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილი დღესაც ახსოვთ სოფელში. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მესხეთის უძველესი დარგის, მესაქონლეობისა და მეხილეობის განვითარებას. უდელებს აქვთ მსხვილფეხა პირუტყვის, მეცხვარეობის, მეფრინველეობის ფერმები და ინკუბატორი.

შარშან მეცხოველეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის დროშით დაჯილდოვდა.

დიდი ყურადღება ექცევა კარტოფილის მოსავლიანობის ზრდას. აქაური ნიადაგი და კლიმატი კარტოფილის მაღალხარისხოვან და უხვ მოსავალს იძლევა.

ათიოდე წლის წინათ აშენდა წყალსაცავი. გაიზარდა სარწყავი მიწების რაოდენობა.

საქვეყნოდ ცნობილი მესხური ხილის ბაღები 188 ჰექტარზეა გადაჭიმული, სადაც ოცდაათზე მეტი ჯიშის ვაშლი ხარობს.

მოწინავე მეცხოველეები არიან მაყვალა გიქოშვილი, თამარ ყულიჯანოვი, ეკატერინე აფრიამაშვილი, ქეთევან მერაბიშვილი, მემინდვრეებიდან გამოირჩევიან მართა მღებრიშვილი და იორდანე მერაბიშვილი, მეფრინველეებიდან —გულნაზ მჭედლიშვილი, ნინო ბარბლაშვილი, აგნესა გიგოლაშვილი.

კოლმეურნეობაში 150 კომკავშირელი შრომობს. კომკავშირულ ახალგაზრდულ ბრიგადას სათავეში ნოდარ პარუნაშვილი უდგას. ახალგაზრდები უფროსების მხარდამხარ მკლავმოუღლელად შრომობენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ სოფლის ძლიერებაში.

ძველად მესხეთში მევენახეობა დიდად ყოფილა განვითარებული. 1945 წლიდან გადაუწყვეტიათ მისი აღდგენა-გაშენება. განსაკუთრებით „ალიგოტეს“ ჯიშის ვაზს გაუმართლებია იმედი. უდელები საუკეთესო ხარისხის ღვინის დაყენებაშიც დაოსტატებულან. ვაზს დიდი მომავალი ჰქონია, მაგრამ 18 ჰექტარზე გაშენებული მსხმოიარე ვენახი დაუდევრობით მოსპობილა და გადაშენებულა.

ახლანდელ ხელმძღვანელებს გადაწყვეტილი აქვთ მესხეთში კვლავ ახარონ ვაზი.

ადიგენის რაიონიდან რა სპეციალობის კაცს არ შეხვდებით — ექიმებს, ინჟინრებს, აგრონომებს, მასწავლებლებს, გეოლოგებს, მექანიზატორებს. ისინი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს რესპუბლიკას ერთი სასიხარულო ცნობა მოეფინა: იმ ძნელბედობის ჟამს სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილა პეტრე პავლეს-ძე მერაბიშვილი. შორეული აფრიკის ერთ-ერთი საინტერესო ისტორიის მქონე ხალხის, ეთიოპიელების დიდი მოამაგე ყოფილა.

1910 წელს პეტრე მერაბიშვილს ადის-აბებაში დაუარსებია ამბულატორია და აფთიაქი „საქართველო“. იგი ამავე დროს საინტერესო მწერლადაც ითვლებოდა. ექიმ პ. მერაბიშვილს ახლაც დიდი პატივისცემით იხსენებენ ადის-აბებაში. მას იქ „დოქტორ მერაბს“ უწოდებენ.

სოფელში ბევრია სოფლისა და ხალხისათვის თავდადებული ადამიანი. ისინი თვალისჩინივით უფრთხილდებიან წარსულს და დღევანდელობის სამსახურში დგანან.

უდეში სამი საშუალო სკოლაა, ხუთი ბიბლიოთეკა, არის კულტურის სახლი, ფოსტა, ტელეგრაფი, ავტომატური ტელეფონის სადგური, სამუსიკო სასწავლებელი. შარშან უდეში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ახალი შენობა აშენდა, სოფელს მალე დაამშვენებს ორსართულიანი კეთილმოწყობილი უნივერმაღი.

მაგრამ უდელებს საზრუნავიც აქვთ: ზოგიერთი შენობა არ არის სახარბიელო მდგომარეობაში. მოუწყობელია სოფლის შიდა გზები და მათი განათება. მაგრამ იმედი აქვთ, რომ ყველა ნაკლი მალე გამოსწორდება.

**მარადი ანასაშვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზიარელი ქალიშვილები

რეპორტაჟი

მწველავი ნინო კვეზერელი



როცა ატმისა და ტყემლის ყვავილებით აფეთქებულ ხეივანში, ლარივით გაჭიმულ გზაზე გურჯაანისაკენ მიგვაქროლებდა მანქანა, რატომღაც არტურ ლაისტის დიდებული სიტყვები ამეკვიატა: „კეკლუცო კახეთო! ოქროსფერი ღვინის, სიხარულისა და სიამის ქვეყანავ, კახეთო! სეტყვა აზიანებს შენს ვენახებს, გვალვისაგან შრება შენი მდინარეები, მაგრამ არასოდეს არ დაშრება შენი სილამაზის უკვდავი წყარო“...

დიახაც, რომ ლამაზია კახეთი, თავისი უკიდეგანო ზვრებითა და მინდორ-ველებით. მწვანე საბურველში გახვეულნი შავ მიწაზე დგანან ვენახები, ღონიერი სამამულოებით და თავს იწონებენ. მწკრივს შორის ჩამდგარან შავტუხა ჭაბუკები და ქალიშვილები, შვილივით თავს ევლებიან თითოეულ ძირ ვაზს. სწორედ, ამ ჭაბუკებისა და ქალიშვილების, ვაჟკაცებისა და ქალების შემართებამ და საგულდაგულო შრომამ განაპირობა ის, რომ შარშან გურჯაანელებმა არნახული მოსავალი მოიყვანეს და 88 ათასი ტონა ყურძნის ნაცვლად 114 ათასი ტონა მაღალი ხარისხის ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

გურჯაანი რომ მევენახეობით განთქმულია, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც გურჯაანელებმა მეცხოველეობითაც გაითქვეს სახელი.

როცა პარტიის გურჯაანის რაიკომში მწველავები მოვიკითხეთ, სიამაყით გვიპასუხეს: მოწინავე მწველავებს ჩვენს რაიონში რა დალევს, მაგრამ ზიარის რძის წარმოების საბჭოთა მეურნეობაში დები ნაირა და ზაირა გილიგაშვილები ერთერთი საუკეთესონი არიანო.

...თვალუწვდენელ ველზე სოკოებივით დარაზმულან თეთრი ქათქათა შენობები, ეს ზიარის რძის წარმოების საბჭოთა მეურნეობა გახლავთ. 42 მშრომელიდან თითქმის ყველა ახალგაზრდაა, რომელთაც შავჭრელი ჯიშის 391 სული მსხვილფეხა საქონელი აბარია.

1977 წელს სკოლის მერხიდან კომკავშირის საგზურით მოვიდა აქ ზაირა გილიგაშვილი და 20 სული მეწველი ფური გაიპიროვნა. მერე მანამ არ მოისვენა, სანამ უფროსი და ნაირა არ მოიყვანა ფერმაში.

მალე ქალიშვილებმა კომკავშირული რგოლი შექმნეს. მათ ეკა გოგილაშვილი, ნინო კვეზერელი და თინა სოლოღაშვილი შეუერთდათ. მათ სოციალისტური შეჯიბრებაც გაშალეს. ინათებს თუ არა, უკვე ფეხზე არიან, ციბრუტივით ტრიალებენ, ცხელი წყლით რეცხავენ აგრეგატებს, სამურველით ასუფთავებენ ფურებს, თბილი წყლით ბანენ ცურებს. რვის ნახევარზე აგრეგატი უკვე წველას იწყებს. ქათქათა რძით სავსე კასრებს გოგონები დიდ ბალონებში ცლიან, ბალონებიდან კი რძე, მექანიზებული წესით ცისტერნებში გადადის.

მართალია, ნაკელის გატანა მექანიზებულია, მაგრამ ზაირა ერთი წუთითაც არ სტოვებს სადგომს და უკან დასდევს მექანიზატორ როლანდ კვეზერელს. ნაგლეჯი ქაღალდიც რომ ნახოს დაგდებული, ერთ ამბავს დააწევს. ამიტომ ისეთი სისუფთავეა ფერმაში, კაცი იფიქრებს, სამკურნალო დაწესებულებაში მოვხვდიო.

ბესიკ პიტიურაშვილი და გრიშა ჯიქურიშვილი საკვებს დღეში ოთხჯერ ტრაქტორით ეზიდებიან. განსაკუთრებით ბადაგი უყვართ ფურებს. ჩვენ იმ დროს მოვხვდით ფერმაში, როცა ბადაგი შემოიტანეს. ფურებმა ფეხების ბაკუნი და ზმუილი ატეხეს, უცებ ვიღაცის წკრიალა ხმა შემოგვესმა: „თქვე არდასაცალებლებო, ოქროს წვეთები ხომ არ არის, ცოტა ბარაქიანად გადმოუშვით ეს დალოცვილი ბადაგი, რომ ჩემმა ფურებმა გული იძღონო“.

— ეს ჩვენი ჭრიჭინა, ზაირა გილიგაშვილია, დილის შვიდი საათიდან ღამის 8 საათამდე ასე დაჭრიჭინებს ფერმაში — ღიმილით გვითხრა ფერმის გამგემ ჯანო ნინიძემ.

ბადაგი ჭარხლის ნარჩენებისაგან მზადდება და წველადობას საოცრად ზრდის. ამიტომ ზაირა ჯერ რგოლის წევრებს მოეთათბირა, მერე ჯანოსთან მივიდა და სთხოვა: ძია ჯანო, დაგვეხმარეთ რამდენიმე ჰექტარი მიწა მოგვცენ ჭარხლის დასათესადო. მერე ჯანომ და ზაირამ მეურნეობის დირექტორს ვახტანგ ჭილოლაშვილს გაანდეს ნაფიქრი და სულ მალე ალმასკომმა რძის მეურნეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი ჰექტარი მიწის ნაკვეთი გაუპიროვნა.

მეურნეობის მშრომელებმა საგულდაგულოდ მოხნეს მიწა, დაამუშავეს, და ჭარხალი ჩათესეს. რა თქმა უნდა, უხარიათ ზაირას და მის მეგობრებს, რომ წლეულს თავსაყრელი იქნება ჭარხალი.

სისუფთავე, კვების დღის რეჟიმის ზუსტი დაცვა, დისციპლინა ყველგან და ყოველ ნაბიჯზე რძის მაღალ პროდუქტიანობას და ცხიმიანობას განაპირობებს, ამიტომაც არის კომკავშირული რგოლის მიერ ჩაბარებული რძე ყოველთვის პირველი ხარისხის.

შარშან ზაირამ გეგმით გათვალისწინებული 1850 კილოგრამი რძის ნაცვლად 2.100 კილოგრამი რძე ჩამოწველა. ნაირამ კი, 2.200 კილოგრამი რძე ჩააბარა სახელმწიფოს. კომკავშირული რგოლის წევრებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის საკავშირო ჯილდო — ვიმპელი და სიგელი დაიმსახურეს.

ნინო კვეზერელი თანასოფლელებმა სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

თავდადებულმა შრომამ მატერიალური ანაზღაურება გაზარდა, თითოეული მწველავის თვიური ხელფასი 170-180 მანეთია. ყოველთვიურად წახალისების ფონდიდან მეურნეობა მოწინავეებს 25-30 მანეთით აჯილდოებს.

წლეულს ნაირა და ზაირა გილიგაშვილები პარტიის წევრები გახდნენ. ეს კი ზრდის მათ პასუხისმგებლობას. გოგონებმა მტკიცედ გადაწყვიტეს პირადი ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულონ: თითოეულმა 20 ფურიდან 20 ჯანმრთელი ხბო ჩააბაროს, გეგმით გათვალისწინებული 1.850 კილოგრამი რძის ნაცვლად 2.300-2.500 კილოგრამი რძე ჩამოწველოს. ამ დაპირებას მტკიცე საფუძველი აქვს — მარტის თვის ბოლოს მეურნეობამ გეგმა არა თუ გაანაღდა, ბევრადაც გადააჭარბა — 18 ტონა რძის ნაცვლად 21 ტონა რძე მიჰყიდა სახელმწიფოს.

გურჯაანში შესანიშნავი საკვები წარმოებაა, რომელიც სარძეო მეურნეობას ამარაგებს. წლეულს ზიარელმა კომკავშირელებმა ითავეს საკუთარი ძალებით მეურნეობისთვის 150 ტონა სენაჟი და სილოსი, 450 ტონა თივა, 1.200 ტონა ნამჯა, 500 ტონამდე კომბინირებული საკვები დაამზადონ.

შრომისმოყვარე ქალიშვილები ძალას არ დაზოგავენ და პირობას უდაოდ შეასრულებენ.

ოლია დადიანი



ახალგაზრდული ბრიგადა



ეკა გოგილაშვილი



მექანიზატორი გ. ჯიქურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ქალის" რეიდი

საქართველოს სსრ მოქალაქეებს სიბერეში, ავადმყოფობის, შრომის უნარის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან.

# მოხუცთა სახლი

ქუთაისში, ქალაქის განაპირას, ავტოქარხნის ქუჩაზე ორსართულიანი შენობა დგას. გაზაფხულის დილაა. გზის გასწვრივ ოლასკურა მდორედ მიედინება. ეზოს ჭიშკარი შევაღეთ.

შენობის დიდ დერეფანში სკამებზე მოხუცები ჩამომსხდარან. სამედიცინო პუნქტში ვილაცამ ექთანს წამალი მოსთხოვა. მედდამ არ დააყოვნა და საჭირო რჩევაც მისცა.

მოხუცებულთა სახლ-ინტერნატში 81 წევრისაგან შემდგარი დიდი ოჯახი ცხოვრობს.

ბინადართა ბედი ერთმანეთსა ჰგავს. ათეული წლების მანძილზე თავდადებით უშრომიათ, ცხოვრების ჭაპანი მხრებით უზიდავთ, დიდი სამამულო ომის სუსხიც გადაუტანიათ. წლებს კი თავისი წაუღია. მისი ნაკვალევი თითოეულს სახეზე ღრმად აღბეჭდია.

როცა მოხუცებულობის წლები მოგეძალება და მზად ხარ თბილ კერაზე შენს ნაამაგარს მშვიდად იმკიდე, ძალზე ძნელია, მიმოიხედო და საკუთარ ოჯახში მარტოდ დარჩენილი თავი იხილო. ძალღონე არ შეგწევს, არ იცი როგორ მოიქცე. მძიმედ ტოვებ საყვარელ ადგილს, სადაც მთელი ცხოვრება გაგიტარებია. მიდიხარ მოხუცებულთა სახლში, ახალ გარემოში.

რაოდენ დიდი საპატიო მოვალეობა აკისრიათ ამ სახლის მესვეურთ, — დღედაღამ მხოლოდ იმისათვის ზრუნავენ, რომ უთვისტომო მოხუცების ცხოვრება არ დანისლონ, პარტიამ და მთავრობამ ხომ მათ მატერიალური უზრუნველყოფის დიდი უფლებები მიანიჭათ.

ქუთაისის მოხუცთა სახლ-ინტერნატში ო. ბზიკაძეს ვესაუბრებით. ის პროფესიით ექიმია და ერთი წლის წინათ ამ სახლის დირექტორად დანიშნეს.

— გასაკეთებელი ბევრი გვაქვს, მიზნები — დიდი. ვფიქრობთ განვახორციელებთ — ამბობს იგი.

— ჩვენი სახლ-ინტერნატი 110 კაცისთვის არის გათვალისწინებული. ამჟამად 81 მოხუცია. ამათგან 44 ქალია, 37 — მამაკაცი, მათგან 32 ქართველია, 49 კი — სხვადასხვა ეროვნებისა. ჩვენს დაწესებულებაში 53 თანამშრომელია. ზოგი შეთავსებით საავტომობილო ქარხანაშიც მუშაობს. მოხუცებსა და ინვალიდებს სამედიცინო მომსახურებას ადგილობრივი მედპუნქტი უწევს. გვყავს ერთი ექიმი, ხუთი მედდა, თოთხმეტი სანიტარი. სახლს აქვს ორსაწოლიანი იზოლიატორი და საკარანტინო ოთახი, ფიზიოთერაპიული კაბინეტი. პერიოდულად ვიწვევთ ექიმებს: თერაპევტს, ოტოლარინგოლოგს, გინეკოლოგს, სტომატოლოგს, ოკულისტს.

სამედიცინო პუნქტს აქვს მედიკამენტები და პრეპარატები. მოხუცებს პირველად დახმარებას იქვე უწევენ, ხოლო თუ ავადმყოფი სტაციონარის პირობებში მკურნალობას საჭიროებს, იგი ქალაქის საავადმყოფოში გადაჰყავთ.

შენობა ტიპური პროექტით არის აგებული. ოთახები ნათელია და პატარა აივნებიც აკრავს. ყველა ოთახი რადიოფიცირებულია. ზოგან ტელევიზორიც დგას.

ოჯახური სიმყუდროვე მოხუცებს აქაც შეუქმნიათ. ზოგი ხელსაქმობს, ზოგი ფერადი ქაღალდისაგან ხელოვნურ ყვავილებს ამზადებს. ბევრ მათგანს ახლობლები, ნათესავები აკითხავენ. ყურადღებას არ აკლებენ.

ანა ჯანელიძე მეხუთე წელია აქ ცხოვრობს. პროფესიით ბუღალტერია. დაინვალიდების შემდეგ. უქმარშვილო ხანშიშესულმა ქალმა ნათესავების ზედმეტი ტვირთი რომ არ გამხდარიყო. ამ სახლს მოაშურა. პირველად გაუძნელდა გარემოს შეცვლა. მაგრამ თანდათან ერთჭერქვეშ მყოფნი გაიცნო და დაუახლოვდა.

აგრაფინა ჭოლაძეს ინვალიდი შვილი ჰყავს — 52 წლის არჩილი. დედაშვილი წლების მანძილზე ამ სახლში ერთად ცხოვრობენ. ხანდაზმული ქალი არჩილს გასაოცარი ენერგიით უვლის. სამედიცინო პერსონალი, რა თქმა უნდა, მათ ყურადღებას არ აკლებს.

ტატიანა ბექთაბეკოვა 91 წლისაა. იგი ყოფილი პედაგოგია. თავს მხნედ გრძნობს. ხალისი არ დაკარგვია. კარგად შეეწყო მოხუცთა სახლის გარემოს. კედელზე ოჯახის ახლობელთა სურათები უკიდია. მაგიდაზე ნათესავთან გასაგზავნი წერილი უდევს. — ჩემთვის მოწყენილობა არ არსებობს. აი, რამდენი მეგობარი მყავს — წიგნები! ვკითხულობ და ჩემი ცხოვრება უფრო საინტერესო ხდება. საახალწლოდ მე და ანა ჯანელიძემ გოზინაყი გავაკეთეთ და მეზობლებიც მოვიწვიეთ სუფრაზე, გვეუბნება იგი.

სერგო სოხაძე — ყოფილი პედაგოგი. ამჟამად პირველი ჯგუფის ინვალიდი ათი წელია მოხუცთა სახლში იმყოფება. ყოველმხრივ უწყობენ ხელს მას.

აქ სამამულო ომის ინვალიდებიც ცხოვრობენ — პეტრე ვოევოდინი. ალექსანდრე ზოსიმენკო. ლაზარე შაუმიანი და ნიკოლოზ ვორობიოვი. შაუმიანი და ვორობიოვი შარშან წყალტუბოს სანატორიუმშიც ისვენებდნენ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს. რომ სახლ-ინტერნატის მოხუცები არც თუ ისე განებივრებული არიან სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებით. მოხუცები ისმენენ ლექციებს, ექიმის საუბრებს. მათს განკარგულებაშია ტელევიზორი. ნახულობენ ფილმებს, აქვთ ბიბლიოთეკა (1700 წიგნი). უზრუნველყოფილი არიან ჟურნალ-გაზეთებით.

სასადილოში კვება ოთხჯერადია. მარაგდებიან პროდუქტებით — ხორცის, თევზის, რძის და სხვა ნაწარმით. თითოეულისათვის ყოველდღიურად 1 მან. და 20 კაპ. იხარჯება. ეს თანხა სავსებით საკმარისია ნორმალური კვებისათვის. ამას ემატება გეგუთის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დახმარება. რომელიც მოხუცებულების სახლს შეფობას უწევს და ბოსტნეულით და მწვანილით ყოველდღიურად უზრუნველყოფს.

კარტოფილის სათლელი და ხორცის საჭრელი ავტომატური მანქანები სასადილოში მხოლოდ ახლახან დაუმონტაჟებიათ. კვების ბლოკში ექვსი მუშაკი მუშაობს. სამი მზარეული ჰყავთ. სასადილოს აქვს ჭურჭლის სარეცხი. პროდუქტების შესანახავი საწყობი, მაგრამ იგი მოუწყობელი და შეუკეთებელია.

წინათ კარგად გამართული დამხმარე მეურნეობა ჰქონიათ. დავათვალიერეთ პირუტყვის სადგომები — ტიხრებით მოხერხებულად დაყოფილი გრძელი შენობა. რომელშიც სამწუხაროდ. მხოლოდ და მხოლოდ ორად ორი ძროხა და ორი ხბო შემორჩენიათ.

— უმოკლეს დროში ქათმებს, გოჭებსაც შევიძენთ და ბლომად გვეყოლება ფრინველიცა და პირუტყვიც, „გვაიმედებს" დირექტორი.

— საავტომობილო ქარხნის კოლექტივი შეფობას გვიწევს. კანალიზაციის მოწესრიგებაში გვეხმარებიან. უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო დაწესებულება ჩვენი შეფია. შრომითი თერაპიის

მიზნით მოხუცები ქაღალდის პარკებს ამზადებენ, არც უქმად არიან და მცირედი გამომუშავებაც აქვთ — გვითხრა დირექტორმა.

ცხადია, სახლ-ინტერნატისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ყოველგვარი თანხები, მათ შორის შენობის რემონტისთვისაც.

მთავარია ენთუზიაზმი, ხელმძღვანელის ორგანიზატორული ნიჭი და უნარი და გამოყოფილი თანხის ყაირათიანი გამოყენება.

მაგალითად, წლეულს შენობის კაპიტალური რემონტისათვის 34 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს.

ბევრი რამ — მოხუცთა სახლისათვის საჭირო და აუცილებელი ჯერ კიდევ მოუგვარებელია:

სახლ-ინტერნატის მთავარი წესრიგი სანიტარიული კვანძების გამართვით უნდა იწყებოდეს, რაც დღემდე მოუწესრიგებელია. აბაზანები მოუწყობელია, კარგია რომ ცივი და ცხელი წყალი მაინც აქვთ ყოველთვის.

ქარს შენობისათვის ბევრგან სახურავიც აუხდია, მინებიც ჩაუმსხვრევია. ჭერიდან წვიმა ჩამოდის და ანტისანიტარიული მდგომარეობა იქმნება. ზოგი მოხუცი მწოლიარე ავადმყოფია და მათი სისუფთავის დაცვა არც ისე იოლია, მით უფრო მაშინ, როცა სანიტარიული კვანძები, კანალიზაციის საქმე მოუწესრიგებელია.

რაც შეეხება მოხუცთა მოვლას: მწოლიარეებისათვის არა აქვთ მოძრავი პირსაბანები, არ უტარდებათ სამკურნალო ფიზკულტურა. ოთახებში სიგნალიზაცია მოუწყობელია, სუფთა ჰაერზე დავრდომილნი ვერ გაჰყავთ. ინვალიდებს სულ ხუთი „ეტლი" ემსახურებათ.

სახლს აქვს დამხმარე კორპუსი, სადაც საქვაბე მეურნეობა, საშრობია განლაგებული. სამრეცხაო დავათვალიერეთ. ახალი სარეცხი ქვაბები დაუმონტაჟებიათ. თეთრეული ირეცხება, მაგრამ თვალში გეცემათ ჭუჭყიანი კედლები, ოღროჩოღრო იატაკი. სამრეცხაო-საშრობი შენობა რემონტს საჭიროებს.

სახლ-ინტერნატის შენობის კედლებიც დროთა სვლაში გახუნებულა, თუმც გვითხრეს, ხშირად იღებებაო.

ყველაზე სავალალოა ეზოს მდგომარეობა, რომელსაც ორი ჰექტარი ფართობი უჭირავს. ეს ვრცელი ეზო ღრმად გაჭრილი ტრანშეებით დასერილა. წყალი დგებაო, არაფერი ხეირობსო, გულისტკივილით ამბობენ, მაგრამ ვფიქრობთ, მონდომება იყოს და შეუძლებელი არაფერია.

ქუთაისში გაზაფხულია და ატმისა და ტყემლის ვარდისფერ-თეთრად აფეთქებული ყვავილების სურნელი ტრიალებს. მოხუცთა კარმიდამოში კი ვერ გაიგებთ წლის რომელი დროა. აქ წლების მანძილზე არცერთი ძირი ხე არ დაურგავთ. 1963 წლიდან რამდენიმე დირექტორი გაათავისუფლეს და ახალი დანიშნეს, მაგრამ სხვა საქმესთან ერთად მთავარი ამბავი მაინც ვერ მოაგვარეს. კარგი ხელმძღვანელის ხელში დღემდე ხეხილის ბაღი და ტყეპარკიც გაშენდე-



ეცნობიან გაზეთის ახალ ამბებს



ეროვნული ბიბლიოთეკა



მოხუცებს სუფთა ჰაერზე სეირნობა უყვართ.

დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები



ბოდა და მოხუცებიც დღენიადაგ ოთახებში არ შეიყუჟებოდნენ.

ეზოში სამი თუ ოთხი სკამძელი დგას. მალე ზაფხული მოვა და სუფთა ჰაერზე რომ გავლენ, სად დასხდნენ მოხუცები? არც მწვანე მოლი აქვთ, არც ხეივანი. ქსოვილით გადახურულ ფანჩატურს მოვაწყობთ, მოხუცებს საჩრდილობელი ექნებათ, ამბობს ო. ბზიკაძე.

მცენარეთა რგვის ვადები უკვე კარგახანია მიიწურა, მათ კი წლეულსაც ერთი ძირი მსხმოიარე ხის ნერგიც ვერ გაახარეს. და ამით საქმე კიდევ ერთი წლით უკან დასწიეს. მაგრამ ეს ეტყობა, არავის აღელვებს!

სოცუზრუნველყოფის სამინისტროში დადგენილება მიიღეს სახლ-ინტერნატების მუშაობის გარდასაქმნელად. ამასთან დაკავშირებით, დირექტორი გვპირდება რომ ნაკლოვანებებს გამოასწორებენ:

— ასფალტის ბილიკებს გავიყვანთ, ფერადი ფილების ლამაზ მოზაიკას გავაკეთებთ, სამრეცხაოს, სააბაზანოს კაპიტალურად გავარემონტებთ, მოხუცების დაბადების დღეებს აღვნიშნავთ, თემატურ საღამოებს, პიონერებთან, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრებს მოვაწყობთ. მართლაც ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, მოსაგვარებელი.

ეს ხომ ისევ სურვილებია და თანაც ალბათ მერამდენედ წარმოთქმული. ვფიქრობთ უკვე დროა წერტილი დაესვას ამ დაუსრულებელ დაპირებებს და გაკეთებული საქმეები ალაპარაკდეს.

„ადამიანისთვის ზრუნვას მუდამ ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს მთელ ჩვენს მუშაობაში. ადამიანისთვის ზრუნვა — ეს ჩვენი მთავარი საზრუნავია“, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძემ წლეულს გამართულ რესპუბლიკურ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

მოხუცებულთა სახლის ბინადართ მეტი ყურადღება სჭირდებათ. უნდა ვუფრთხილდებოდეთ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებულ მათს დიდებულ უფლებებს.

* * *

ჩვენ ქუთაისის მოხუცებულთა სახლ-ინტერნატის მუშაობაზე გესაუბრეთ. რესპუბლიკაში ამ ტიპის დაწესებულება რვა არის. რედაქციას გადაწყვეტილი აქვს გაეცნოს ყველა მათგანის საქმიანობას და მკითხველებს მათი ავკარგიც გააცნოს.

რეიდის მონაწილენი: **ეთერ ჯაფარიძე**,
სპეც. კორესპონდენტი,
**ეთერ ვაშაკიძე**,
კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
**ოლია საბაშვილი**,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოგონა ორი თასით

ქალთა ჭადრაკს, სადაც ყოველთვის მკაცრად იყო დაცული იერარქია — უფროსუმცროსობა, თავისი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი მპყრობელებსა და მაძიებლებს, ჩემპიონებსა და პრეტენდენტებს, ძალიან იშვიათად თუ ვინმე ააფორიაქებს ხოლმე. ჯერ იყო და ძალიან გახანგრძლივდა დაუვიწყარი ვერა მენჩიკის ჰეგემონია, შემდეგ 16 წელს გაგრძელდა ნონა გაფრინდაშვილის მმართველობა. პირდაპირ უნდა ითქვას, წლების განმავლობაში არც მენჩიკს ჰყავდა ღირსეული მეტოქე და არც ნონას. მათი მატჩები მსოფლიო პირველობაზე ზოგჯერ სისხლსავსე ბრძოლით არ ხასიათდებოდა; უფრო ფორმალურად გადარჩევას ჰგავდა. ერთი სიტყვით, ძალა აღმართსა ხნავდა.

ახლა ჭადრაკში სულ სხვანაირი მდგომარეობაა. ყველაფერი მოძრაობაში მოვიდა, ტალღა ტალღას მიეხალა, შედარებითი სიწყნარე და სიმშვიდე „აფეთქებებმა“ შეცვალა. ?ეთი სულისკვეთება ჭადრაკში მოიტანეს მ?ია ჩიბურდანიძემ, ნინო გურიელმა, ნანა იოსელიანმა.

როდესაც მკითხველი ჟურნალის ამ ახალ ნომერს მიიღებს, ნანა იოსელიანი ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე იქნება. იგი ახლა ემზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დას.?ლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტზე შესასვლელად და... შორეულ ბრაზილიაში გასამგზავრებლად, მსოფლიო პირველობის არც თუ ისე შორეულ მისადგომებთან საბრძოლველად.

საკვირველია პირდაპირ — დრო ხან ნელნელა მიიზლაზნება და მიაბოტებს, ხან კი სპრინტერივით გარბის. ნანა იოსელიანთან დაკავშირებით თუ ვიტყვით, დრო მიჰქრის! ვერც კი მოვასწარით თვალის დახამხამება და ეს გოგონა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ დედას დაჰყავდა ჭადრაკის სახლეში, არც მეტი და არც ნაკლები, გამოჩენილი ოსტატი გახდა. ან კი სხვა რა უნდა ვუწოდოთ მოჭადრაკეს, რომელიც ახლა ორი თასის მფლობელია, როგორც უძლიერესი ევროპელ გოგონათა შორის. გაიმარჯვა ძნელ საერთაშორისო ტურნირში, გახლავთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი, ხელთ აქვს მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის საგზური: ბრაზილიაში უნდა გაემგზავროს.

როდესაც ახლანდელ ნანა იოსელიანზე ვფიქრობ, პირდაპირ აღტაცებით ვიგონებ ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ უბრწყინვალეს მოჭადრაკეს, დაუვიწყარ პაულ კერესს. ამ რამდენიმე წლის წინათ კერესი საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში თამაშობდა, „კალევის“ შემადგენლობაში. თბილისის „განთიადის“ გოგონათა დაფაზე კი ყველასათვის, თითქმის ყველასათვის უცნობი ნანა იოსელიანი იბრძოდა. მეტად სანდომიანი, სადად ჩაცმული გოგონა. და აი, ბევრმა შეამჩნია, რომ კერესი ხშირად ჩერდებოდა გოგონას დაფასთან, ზოგჯერ აშკარად იწონებდა მის სვლებს. როდესაც შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კერესს ვესაუბრე, დიდმა ესტონელმა მოჭადრაკემ პირდაპირ მითხრა, არც ისე დიდი ხნის შემდეგ ნანა იოსელიანი გამოჩენილი ოსტატი გახდებაო. საყოველთაოდაა ცნობილი კერესის იშვიათი ჯენტლმენობა და მისი შინაგანი კულტურა, მაგრამ სწორედ ეს თვისებები გამორიცხავდნენ ყოველგვარ „ქათინაურს“. დიახ, კერესი აშკარად ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა!

გავიდა ხანი და კერესს მისი დიდი მეტოქე მიხეილ ბოტვინნიკიც დაეთანხმა. როდესაც ნანამ საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ამ პატრიარქის ხელმძღვანელობით დაიწყო მეცადინეობა, ბოტვინნიკმა ყურადღება მიაქცია გოგონას ინტუიციას, მის უტყუარ ალღოს, კომბინაციურ ნიჭს, პოზიციის თავისებურად აღქმის უნარს. და აი, ბოტვინნიკმა (მისთვის შესაძლებელია კერესის აზრი არც კი იყო ცნობილი) განაცხადა, თუ კარგად იმუშავებს, შორს წავაო.

თუ კარგად იმუშავებსო! ნანას ხომ არასოდეს ეზარებოდა მუშაობა. სწორედ ეს გრძნობა ჩაუნერგეს მას ოთარ ალხანიშვილმა, ოთარ თურქესტანიშვილმა, ელიზბარ უბილავამ.

დიახ, გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს დრო მიჰქრის! შეიძლება დავეთანხმოთ ამ აზრს, შეიძლება არც დავეთანხმოთ, მაგრამ ის ამბავი, რომ გუშინდელი მოსწავლე და დღევანდელი მოსწავლეც(!) მსოფლიოში მეტად აღიარებული მოჭადრაკე გახდა, უეჭველი ფაქტი გახლავთ.

ახლა კი გავიხსენოთ ნანას ზოგიერთი დიდი საჭადრაკო მიღწევა.

1976 წელი, საკავშირო ჩემპიონატი თბილისში. 14 წლის ნანა, ვითომც აქ არაფერიაო, ისე ებრძვის ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ოსტატებს. იგი ამარცხებს მსოფლიოს № 2 მოჭადრაკეს ნანა ალექსანდრიას (ამიერიდან ჭადრაკში შემოიღებენ პირობით სახელწოდებებს „დიდ ნანასა“ და „პატარა ნანას“). ასევე ფარ-ხმალს აყრევინებს მსოფლიოს № 3 მოჭადრაკეს ირინე ლევიტინას, ყაიმით ამთავრებს დაძაბულ პარტიას მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან!

1977 წელი, საკავშირო ჩემპიონატი კიევში. ნანა ცუდად იწყებს შეჯიბრებას. პირველი 8 ტურის შემდეგ მას მხოლოდ 3,5 ქულა აქვს. თითქოს რაიმე წარმატების მიღწევის ყოველგვარი იმედი დაიკარგა. ასე ფიქრობენ ქართველი მოჭადრაკის ყველაზე უფრო თავგამოდებული მომხრეებიც კი. მაგრამ ნანა არ თმობს. ამ მომენტში იგი აკეთებს იმას, რაც საკავშირო ჩემპიონატებში საერთოდ არავის გაუკეთებია —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო 9 პარტიიდან 8,5(!) ქულას აგროვებს. საბოლოოდ მოპოვებულია დიდი ტრიუმფი, იოსელიანი მე-2 — მე-3 ადგილებს იყოფს ალექსანდრიასთან. წინ არის მხოლოდ მაია ჩიბურდანიძე.

1978 წელი. იანვარში იუგოსლავიის ქალაქ კიკინდაში იოსელიანი იოლად ხდება ევროპის ქვეყნების თასის მფლობელი გოგონათა შორის. ზაფხულში ჩინებულად თამაშობს პოლონეთის საერთაშორისო ტურნირში. დეკემბერში, ფრუნზეში სუსტი სტარტის მიუხედავად ბრწყინვალედ ასწორებს მდგომარეობას (ამბავი მეორდება!) და საბოლოო ანგარიშით მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის საგზურს ეუფლება!

1979 წელი. იანვარში იუგოსლავიის ქალაქ კულაში ნანამ მეორედ ასევე იოლად მოიპოვა ევროპის თასი გოგონათა შორის. მოიპოვა მეორედ და უკანასკნელად — გაისად მას უკვე აღარ ექნება ასეთ ასპარეზობაში თამაშის უფლება.

როგორც მკითხველი თვით დარწმუნდება, ამ ნაზ გოგონას სინამდვილეში სატურნირო მებრძოლის დიდებული თვისებები აქვს, იგი ხომ არაერთხელ აღმოჩენილა კრიტიკულ სიტუაციაში, თუნდაც იმის გამო, რომ ბევრი რამის შესწავლა უბრალოდ ვერ მოასწრო. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა იოსელიანს ბრძოლა შეეწყვიტოს. ძნელი სათქმელია, საიდან აქვს მას ეს წმინდა ვაჟური საბრძოლო სულისკვეთება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს დიდად უნდა დაეხმაროს მას უძნელეს საზონათაშორისო ტურნირში.

ხომ ძნელი იყო თამაში ორ საკავშირო ჩემპიონატში, მაგრამ ბრაზილიაში მაინც სულ სხვა სიძნელეები იქნება. „ორი ტურნირი ერთ ტურნირში" — შეიძლება ასე ვუწოდოთ მომავალ შეჯიბრებას, რომელიც ოკეანის გადაღმა გაიმართება. მეტოქეებმა ჯერ 10 მეტად დაძაბული პარტია უნდა ითამაშონ და ერთი წუთითაც ვერ დაივიწყებენ, რომ საჭიროა პირველ ოთხეულში მოხვედრა. და ვინც ამას გააკეთებს, მას კიდევ 11 დაძაბული პარტიის თამაში მოელის. ამაზე ძნელი რაღა უნდა იყოს. მაგრამ ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა იცოდნენ, რომ „ვარსკვლავებისაკენ ვიწრო გზები მიდის".

ჯერჯერობით კი ნანა უზის თავის წიგნებს და სკოლის დასამთავრებლად ემზადება. მცირე ხნის შემდეგ იგი ამ წიგნებს თაროებზე ადგილს მიუჩენს. მათ მაგივრად სხვებს გადმოიღებს — ალექსანდრე ალიოხინისა და ხოსე რაულ კაპაბლანკას ძვირფას პარტიებს, თავისი უხილავი მრჩევლების შემოქმედებას, რომლებიც უწევდნენ და ყოველთვის გაუწევენ მას არსებით დახმარებას. დიახ, ალიოხინი და კაპაბლანკა იყვნენ და რჩებიან დიდ მასწავლებლებად. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ნათქვამია. ნანა იოსელიანი უდაოდ გახლავთ ეს კარგი გამგონე.

გ. გამრეკელი



ქეთევან კიკნაძე ქალიშვილებთან.

# ქეთევან კიკნაძე

ხშირად ხდება, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა სწავლას იმ უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს, რომელსაც მშობლები, უფროსები ურჩევენ. ასე მოიქცა ქეთინო კიკნაძეც. საშუალო სკოლის დამთავრების უმალ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისკენ გასწია; მაგრამ მარტო მისი გადაწყვეტილება საკმარისი არ აღმოჩნდა, მისაღები გამოცდის პირველსავე საგანში ჩაიჭრა, და... ბუნებრივია, გოგონას სხვა რამ უნდა ელონა, ფიქრი დიდხანს არ დასჭირვებია, გულმა თეატრალური ინსტიტუტისაკენ უბიძგა, და აქ გუმანმა არ უმტყუნა. ამ მოკრძალებულმა, მორიდებულმა გოგონამ გამოცდაზე, სპეციალობაში ჩინებული შეფასება მიიღო და სტუდენტად ჩაირიცხა სამსახიობო ფაკულტეტზე, რომელიც 1959 წელს დაამთავრა.

ა. ქერის „მეექვსე სართული", რომელიც ქ. კიკნაძის კურსის სადიპლომო ნაშრომი იყო (ხელმძღვანელი პროფ. მ. თუმანიშვილი), და სადაც იგი ედვიჟის როლს ასრულებდა, ქუდბედიანი აღმოჩნდა. სპექტაკლი სასწავლო ინსტიტუტის ფარგლებს გასცდა და ტელევიზიითაც იყო გადაცემული; პრესამაც კარგად შეაფასა. სავსებით სამართლიანად აღნიშნეს, რომ ქ. კიკნაძის ედვიჟს, ბუნებისაგან დაჩაგრულ ადამიანს, მოჭარბებული მგრძნობელობა, კეთილი გული ჰქონდა და ცხოვრებისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება ახასიათებდა.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1959 წელს ქეთინო კიკნაძე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასში ჩაირიცხა და აქტიურად ჩაება თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში. თავისებურად საინტერესო იყო მისი თამრიკო (ა. ზაკისა და ი. კუზნეცოვის „ორი ფერი"), ბეტი (ტ. ბრანდონის „ჩარლის დეიდა"), პელუა (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), არქიტექტორის ცოლი (ნ. ჰიქმეტის „დამოკლეს მახვილი"), ჰერო (შექსპირის „აურზაური არაფრის გამო"), ნაზი (ა. ალლაძის „შავთვალა გოგონა"), ფიბი (სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში"), რომელსაც ქეთევანმა, ქალურ სინორჩესთან და სინაზესთან ერთად, დიდი ჰაეროვნებაც ჩააქსოვა, გაიანე (ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი"), რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი ისე თავისუფლად, ლაღად და კეკლუცად ასრულებდა, როგორც დიდი გამოცდილების მქონე მსახიობი.

განსაკუთრებით გვინდა ვილაპარაკოთ ქეთინოს მიერ განსახიერებულ მანანაზე (მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი"). ავტორის მიერ პოეტურად ჩაფიქრებული პერსონაჟი საოცრად მიესადაგა მსახიობის აქტიორულ ინდივიდუალობას; მსახიობი მანანას, ამაღლებულსა და მეოცნებე გოგონას, ლოგიკურად, დამაჯერებლად უთავსებდა აზრს, განცდებს, გრძნობებს, რომლებსაც უქვემდებარებდა არა პირადულს, არამედ განზოგადებულს, ტიპობრივს. ამით დიდებულად აყალიბებდა იერსახის გამოკვეთილ ხასიათს.

ქეთევან კიკნაძემ, ასევე დიდი წარმატებით განასახიერა ხატიას (ნ. დუმბაძე, გ. ლორთქიფანიძე „მე ვხედავ მზეს") როლი, — როლი, რომელიც კარგად მიესადაგა მსახიობის ნიჭს. ქეთინოს ხატია საოცრად გულწრფელი და უშუალო, უმწიკვლო და ფაქიზი იყო. სოსოიასთან (მსახიობი გ. ქავთარაძე, რომელიც მისი ღირსეული პარტნიორი გახლდათ) ურთიერთობაში მსახიობი თავის სევდას და ჭმუნვას ისეთი ემოციური დატვირთვითა და პლასტიკური მონახაზებით გამოხატავდა, რომელსაც თან გარკვეული იმედი და მომავლის რწმენა სდევდა.

1968-1971 წლებში ქ. კიკნაძე რუსთავის თეატრში გადავიდა და ამ თეატრის სცენაზეც შექმნა ყურადსაღები სცენური სახეები: როქსანა (როსტანის „სირანო დე-ბერჟერაკი"), გულქანა (პ. კაკაბაძის „კახაბრის ხმალი") დოფინა (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი"), მეფის ასული (ე. შვარცის „ჩრდილი"), ესთერი (ი. ოტჩენაშეკის „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი"), ქეთევანი (გ. მდივნის („შენი ძია მიშა") და სხვა.

თანდათან მკვეთრად გამოიკვეთა ქ. კიკნაძის სასცენო მონაცემები, მისი თავისებურებები: ეს გახლდათ სცენური სიმართლე, ემოციური შეფერილობა, პოეტური აღელვება, გულწრფელობა.

1969 წელს რუსთავის თეატრმა ქალაქ მოსკოვში მოაწყო გასტროლები, რამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ქართული თეატრის სპექტაკლები კარგად შეაფასეს პრესამ და თეატრალურმა საზოგადოებრიობამ. ცნობილმა რეჟისორმა და თეატრალურმა მოღვაწემ ბ. ლვოვ-ანოხინმა ასეთი შეფასება მისცა ქ. კიკნაძის როქსანას (როსტანის „სირანო დე — ბერჟერაკი"): „ქ. კიკნაძე თავის გმირს ყოველგვარი სენტიმენტალობისა და ეგზალტირების გარეშე თამაშობს, გვიხატავს ხალისიან, მიწიერ და მეტად ქალურ ნატურას".

1971-1975 წ.წ. ქეთევან კიკნაძე მუშაობდა თბილისის რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც მოუხდა შემდეგი როლების განსახიერება: ისმენე (ჟ. ანუის „ანტიგონე") და (რასინის „ფედრა"), კნეინა ჩიტუნია (შ. დადიანის „გუშინდელნი"), მაგდალჩნა (გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი"), თინათინი (გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა").

1975 წლიდან ქეთინო კიკნაძე კვლავ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრშია და კვლავ დაუზოგავი ენერგიით ემსახურება ქართულ სცენას. აქ მან შეასრულა შემდეგი როლები: მარტა (გ. გორინის „ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება"), ოგიუსტინა (რ. ტომას „რვა მოსიყვარულე ქალი"), მაკა (თ. ჭილაძის — „ბუდე მეცხრე სართულზე"). მსახიობი აქაც წარმატებით ჩაწვდა გმირის ფსიქოლოგიურ ნიუანსებს, სულის ხვეულებს და ქალის ტრაგიკული ბედის სრული მონაწილე და თანამგრძნობი გაგვხადა.

1976 წელს ქეთევან კიკნაძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ქეთევანმა შემოქმედებითი წარმატება მოიპოვა კინოშიც. მან უკვე კინოსტუდია „ქართული ფილმის" რამდენიმე სურათში მიიღო მონაწილეობა: ესენია: მარია — „შეხვედრა წარსულთან", თინა — „ტარიელ გოლუა", სვანი ქალი — „წინაპართა მიწა", ცირკის მოცეკვავე ქალი — „ზოია რუხაძე", ბეჩუნი — „დათა თუთაშხია".

არ შეიძლება ისიც არ ითქვას, რომ ყოველ ახალ სამუშაოს მსახიობი დიდი ღელვით ხვდება. ყოველი მისი სცენაზე გამოსვლა დაკავშირებულია გარკვეულ შფოთვასთან, რაც მის პროფესიულ პასუხისმგებლობას მოწმობს.

ქეთევანი სამი შვილის დედაა: უფროსი — ნინო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია, მეორეს — ნანას აგრეთვე მსახიობობისკენ მიუწევს გული, მესამე — მაია ჯერ სულ პატარაა; აი რა შემოქმედებითი ოჯახი შექმნეს ქეთევან კიკნაძემ და რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ!

ჩვენი აზრით, მსახიობ ქალს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია ის, რისი გაკეთებაც შეუძლია. გვჯერა, რომ ქართული თეატრის ისტორიაში ქეთევან კიკნაძის მსახიობური ნიჭი მრავალ ახალ ფურცელს ჩაწერს.

**მარგარიტა გოგოლაშვილი,**
თეატრმცოდნე.



გრ. გორინის „ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება". მარტა — ქ. კიკნაძე.



რობერ ტომას „რვა მოსიყვარულე ქალი". ოგიუსტინა — ქ. კიკნაძე.

თამაზ ჭილაძის „ბუდე მეცხრე სართულზე". მაკა — ქ. კიკნაძე. ბესო — კ. მახარაძე.





# ლატავრა ფოჩიანი

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლატავრა ფოჩიანის შემოქმედებითი ბიოგრაფია 33 წელიწადს ითვლის. ცეკვის ხელოვნებამ თავიდანვე გაიტაცა გოგონა. აღიარება ლატავრამ პირველად მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალზე ჰპოვა, როდესაც ლენინური კომკავშირის სახელობის ახალგაზრდულ ანსამბლთან ერთად ლაურეატი გახდა. (ანსამბლის ხელმძღვანელი გიორგი დარახველიძე). შემდეგ ვენის VII მსოფლიო ფესტივალზე ლატავრა ფოჩიანი ცეკვა „მოხეურის“ შესრულებისათვის ლაურეატის ოქროს მედლითა და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ამ ფესტივალზე საუცხოო საცეკვაო დუეტი შეიქმნა—ფოჩიანი-სულაბერიძე... ამ წლებში უკვე ისახება ლატავრას საკუთარი თემა ხალხური ცეკვის ხელოვნებაში. ეს ლირიკულ-დრამატული თემა ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ცეკვა „ქართულში“. ლატავრას შესრულებულ „ქართულში“ თვალს იტაცებს ყველა მადლი და სიკეთე, რაც ქართველი კაცის შემოქმედებით ფანტაზიას ჩაუქსოვია ქართულ ცეკვებში: თავისუფალი მოძრაობა, ზომიერება და სიდარბაისლე, პლასტიკა, ნარნარი მოსრიალე იერი მისი მოძრაობებისა და სკულპტურული წარმოსახვა, მკაფიო პოზები, განუწყვეტლად ცვალებადი ორნამენტული სურათი მთრთოლვარე ხელებისა. ლატავრა ფოჩიანის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში დიდი ბედნიერება იყო შეხვედრა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლთან, კერძოდ ქართული ცეკვის ჯადოქართან ქალბატონ ნინო რამიშვილთან. აქ იძენს იგი იმ ოსტატობას, რომელსაც მისი ხალხური ცეკვებით გატაცება პროფესიონალიზმის დონემდე აჰყავს. ეს იმის შედეგიც არის, რომ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლში ხალხური ცეკვა საფუძველი გახდა ახალი შინაარსით გამდიდრებული თეატრალური ჟანრისა. აქ ფოლკლორისა და ისტორიის საფუძველზე, გაფართოვდა ეროვნული პლასტიკის პალიტრა. ანსამბლი პოეტური საცეკვაო ხელოვნებით გვაცნობს ხალხს, მის ისტორიას, ხასიათს, შრომასა და სულიერი სამყაროს სიწმინდეს. სწორედ აქ შეიძინა მრავალფეროვნება მოცეკვავის პალიტრამაც: ლატავრა ფოჩიანის „ხევსურული“ თავისუფალი და ლაღია. გხიბლავთ მისი ცეკვა ჟანრული ჩანახატიდან: „ძველი თბილისი“, სადაც მოცეკვავე ქალის სწრაფ, კვკლუც მოძრაობაში იგრძნობა ყოფითი ქალაქური საცეკვაო ჟანრის განსაკუთრებული კოლორიტი და სტილისტური თავისებურებები. ჩანს, ნინო რამიშვილს — ქართული ცეკვის ამ ჯადოქარს ცეკვის საიდუმლოება გაუმხელია თავისი მოწაფისათვის.

... „ლატავრას „ქართულს“ მის განუმეორებელ სვლა-დავლასთან, ნატიფსა და სრულყოფილ, ზომიერებით ალსავსე მოძრაობებთან ერთად, ახასიათებს წმინდა ხალხურობა... ჩემთვის, როგორც პროფესიონალისათვის, ნათელია მისი თავისუფალი იმპროვიზირებული მანერა და ამასთან ერთად, ეროვნული ტრადიციების მკაცრი დაცვა. როგორც მაყურებელს, მხიბლავს მისი გარეგნობა, ლამაზი, ტანადი. და როდესაც იგი გაშლის გრძელ მკლავებს, უფრო მეტ შნოს და ლაზათს ანიჭებს „ქართულ ცეკვას“. — ალნიშნავს წარსულში სახელგანთქმული მოცეკვავე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ლილი გვარამაძე.

ნინო რამიშვილის აზრით, ლატავრა ფართო დიაპაზონის მოცეკვავეა, ხელოვანია, შემოქმედია, თავისი საქმის ფანატიკოსია. კეთილშობილი ქართველი ქალია. ლატავრას განუმეორებელი სვლა-დავლა, მისი არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობის შედეგია, ამას დავუმატოთ დიდი ბუნებრივი ნიჭიერება. ლატავრას თავისი შემოქმედებითი დიაპაზონი ჯერ კიდევ არ ამოუწურავს, მისგან კიდევ ბევრ შემოქმედებითს სიხარულს მოელიან მისი სათაყვანო პედაგოგი და შემოქმედების დამფასებელნი.

ლარისა ნადარეიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.



ლატავრა ფოჩიანი.
მხატვარი ესმა ონიანი.

# ჩვენ ზეცაში

„— ჩვენ ზეცაში გადავიხდით
ქორწილს,
ანგელოსნი გაგვიშლიან სუფრას...“

რა უმაღლეს, რა უმშვენიერეს პოეტურ რანგში აჰყავს ავტორს კაცობრიობის ეს ლამაზი ტრადიცია — ქორწილი. არავის ეგონოს ამ ზეფირისეულ, ცისფერ სტრიქონებში იყოს რამ მისტიური! — ეს არის ლტოლვა სასურველის, წარმტაცის უნატიფესად აღქმისა.

წარმოიდგინეთ, პოეტი ნაზი კილასონიას ეს სიტყვები ერთხელ პირდაპირი მნიშვნელობით ახდა. ამ რამდენიმე წლის წინ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ერთმა სენსაციის მოყვარულმა ამერიკელმა მილიონერმა ქორწილი ზეცაში გადაიხადა. დიახ, ზეცაში — თვითმფრინავში. ქორწილს ასზე მეტი სტუმარი ესწრებოდა და ათობით კ^ცი ემსახურებოდა...

რა უკიდეგანოა ადამიანის სურვილები და შ^საძლებლობები, არა?! უკიდეგანოა, მ^ვრამ ღირს კი ასეთი გამომგონებლო^ა — ქორ წილები ზეცაში?! ხომ არ ლა^არაკობს ეს ადამიანთა მატერიალურ სიმდიდ^ეზე და სულიერ სილატაკე ზე?!

ასეთმა ლირი^ულმა და ამავე დროს სენსაციურმა შეს^ვალმა შესაძლოა შეაცბუნოს მკითხველი. მაგრამ გვაქვს ამის მიზეზი, გვაქვს იმიტომ, რომ მატერიალურად ჩვენ უზრუნველყოფილნი ვართ და გვინდა სულიერ სიმდიდრესაც ვფლობდეთ. არ შემოგვეპაროს მეშჩანური, ბურჟუაზიული ჭია, რომელიც თუ დამკვიდრდა, მერე ძნელი აღმოსაფხვრელია.

ჩვენს — ქართულ ქორწილზე გვინდა საუბარი წამოვიწყოთ.

ამა წლის აპრილის თვეში საქართველოს კომკავშირის საკავშირო გარდამავალი დროშა გადაეცა. საზეიმო ცერემონიალის მერე გამართულ დიდებულ კონცერტზე წარმოადგინეს ერთი საინტერეს^ო ნომერი — იმპროვიზებული ქორწილი. ასხლეტილ პირმშვენიერ, მეტად თანამედროვე, მაგრამ ამავე დროს ქართული ელფერის კოსტუმებში გამოწყობილ ნეფე-დედოფალს წინ მზესავით მრგვალი და ფერადოვანი ხილით სავსე ხონჩა მიუძღოდა, მერე ქართულ წითელ ჩოხებში გამოწყობილი მზეჭაბუკები დაწინაურდნენ, მშვიდობის ხმლები იშიშვლეს, გადააჯვარედინეს და ტურფა წყვილი შიგ გაატარეს.

ამის შემყურეს არ შეიძლება გული არ დაგწყვეტოდა იმაზე, რომ ეს მხოლოდ სცენაზე ხდებოდა და არა ცხოვრებაში.

ბუნებრივია, ბევრს გაუჩნდება კითხვა: ყველას როდი აქვს ამის საშუალება, სად არის დარბაზები და მოცეკვავე მზეჭაბუკები?

ყველაფერს რიგით მივყვეთ: მართალია, ყველგან არა, მაგრამ ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში აშენდა ქორწინების სასახლეები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი რიცხვი ყოველწლიურად გაიზრდება. მექორწილეებს რიგში დგომა და დროით შეზღუდვა აღარ დასჭირდებათ, და, ამ ბედნიერ სასახლეთა მესვეურნიც იფიქრებენ იმაზე, რომ ზემოთაღწერილი იმპროვიზებული ქორწილის რიტუალები თავიანთ დარბაზებში — ნამდვილ ქორწილებში დამკვიდრდეს.

ამის განხორციელება სულაც არ არის ძნელი. ჩვენს რესპუბლიკას უხვად ჰყავს სიმღერის, ცეკვის ანსამბლები და სხვა შემოქმედებითი კოლექტივები.

როცა ქორწილის ეს მშვენიერი მომენტი — ხელის მოწერა საინტერესო, საზეიმო, ზეაწეულ ატმოსფეროში ჩაივლის, შემდეგ ყველა აიჩქარებს საბედნიერო საბანკეტო დარბაზებში ან შინ გაწყობილ სუფრას მიუსხდნენ, ლხინი იქ გააგრძელონო და არ დაიწყონ ქალაქსა თუ ქალაქ გარეთ მანქანებით ნავარდი, რომელიც ხშირად სავალალოდ მთავრდება და სამუდამოდ შავ ლაქას, დარდსა და წუხილს უტოვებს ახალშექმნილ ოჯახს.

ახლა ბევრი მსჯელობა და კამათია ტრადიციებზე. პარტიამ და ხალხმა უარყო დრომოჭმული, გადაგვარებული ტრადიციები, რომელთაც მხოლოდ ვნება მოაქვთ საზოგადოებისათვის.

ქორწილი უმშვენიერესი, ძალიან საჭირო ტრადიციაა, იგი არასოდეს არ იქცევა დრომოჭმულად, მაგრამ თუ დროზე არ მივხედეთ, გადაგვარებისა და დამახინჯების საფრთხე კი უთუოდ ემუქრება. აბა, რა უნდა ეწოდოს, თუ არა გადაგვარება, ისეთ ქორწილს, სადაც მექორწილეთა მშობლები (იქნებ ვაზვიადებთ, ნეტამც ასე იყოს!) მომხვეჭელებად გვევლინებიან, ახალი ოჯახის საძირკველს ჩირქსა სცხებენ, საჩუქრად მირთმეულ ფულს ჯიბეში იდებენ (ვაი, სირცხვილო!), ახალშეუღლებულთ არ ახმარენ. რა არის ეს? — ჯერ, საერთოდ, ფულის აღება რა საკადრისია, ვისა აქვს დღეს სამათხოვროდ საქმე და, თუ მაინცა და მაინც იღებ, რატომ უცვლი მისამართს?

ეს ფაქტიც ხომ არ ხდება ხოლმე ზოგჯერ რძალ-დედამთილის კონფლიქტების მიზეზი? — ვინ იცის!

ყველა ტრადიცია ხალხის ფესვებზეა ამოზრდილი. მაგრამ დრო გადის, ცხოვრება იცვლება. წინათ მართლაც იყო საჭირო ახალ ოჯახს დახმარებოდნენ (და არა მშობლებს), შესაძლოა ახლაც უნდა ზოგიერთ ხელმოკლე ოჯახისშვილებს წაშველება, მაგრამ ყველაფერში ხომ ზომაა საჭირო, ღმერთმა გვიმრავლოს ქორწილი და ძეობა, მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც თვეში ხუთ და მეტ ქორწილში მიიწვევენ. ჩვენი ქართული ხელგაშლილობით თუ ვიმსჯელებთ, პატიოსან კაცს მთელი ხელფასი ამ „ღონისძიებებში“ დაეხარჯება და საკუთარი ოჯახი რიღათი არჩინოს? ესეც ხომ არ არის ზოგიერთთათვის ცდუნებისა და გზასა^ცდენის სათავე?!

ახლა ხალხმრავალი ქორწილებია მოდაში, ნამეტნავად სოფლად. ქალაქში ამ ტენდენციამ შედარებით იკლო.

რა ხარჯი, რა დრო, რა მუშა ხელი გაუძლებს 400-500 კაციან ნადიმს. მერე ატარებს ვინმე იქ დროს? — ნამდვილად არავინ! — დარღვეულია ქართული მამა-პაპური, დარბაისლური სუფრის ყოველგვარი ეთიკა. შეზარხოშებულთა გნიასში არავის ესმის რას ამბობს თამადა, თუმცა მიკროფონებით არიან აღჭურვილნი. არ ისმის ჩვენი სახიქადულო პოლიფონიური საქორწილო საგალობლები, სამაგიეროდ, მღერის „ფულის გასაკეთებლად“ შემოხეტებული ვიღაც უსმენო და უხმო პიროვნება. ყველაზე ეგზალტიკური მომენტი მაშინ დგება, როცა ვინმე „ოჯახის დამლოცველი“ მტრედებს შემოაფრენს და ვედროდან ცოცხალ თევზს ამოჰყრის. ამ ჯამბაზობას კი ფული სჭირდება, ფული, რომელსაც სტუმრები იხდიან.

# გალაპვისლით ქორწილს

ასეთ ქორწილში, რომ კაცს დაპატიჟებ, ვითომ პატივს სცემ? მგონი პირიქით ხდება. რამდენი მეგობარი გვინახავს უგუნებოდ, იმიტომ, რომ ვიღაცამ „დააფასა" და ქორწილში დაჰპატიჟა.

მოდით ვიოცნებოთ, (საოცნებო რა გვჭირს, ასე იოლად შესასრულებელი მიზნისათვის) და შევეცადოთ დავხატოთ თანამედროვე ქორწილი!

დავიწყოთ იმით, რომ ზოგს სულაც არ უნდა ქორწილის გადახდა. აქვს ალბათ საამისო მიზეზი და საბაბი. რა ჩვენი საქმეა! არ უნდა და რატომ უნდა სცხვენოდეს მერე ამისა! მოაწერონ ხელი ქორწინების სასახლის საზეიმო ვითარებაში (ამაზე უკვე ვიოცნებეთ), შინ ათიოდე ახლო ნათესავი წაიყოლოს, ფუძე დაალოცვინოს და მორჩა,— შეუდგებიან ახალი ყლორტები მზისკენ აწევას.

ქორწილში მხოლოდ ნათესავები, ახლობლები, თანამოაზრენი უნდა იყრიდნენ თავს. ხერხდებოდეს უშუალო, ალალი ურთიერთობა. დროს საამოდ მხოლოდ ახლობლებთან გაატარებ. თანამოსუფრეთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 50-60 კაცს, მაშინ არც ოჯახი და მთელი სანათესაო გადაიღლება, არც მიპატიჟებული სტუმარი შეიკრავს შუბლს, რა მინდა მაგის ქორწილში, რაში მოვაგონდიო, და არც ახლად დაქორწინებულთ ჩაშხამდებათ ყველაზე ბედნიერი დღე.

ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს რაღაც „გავალებაზე" რა ვქნა, რომ არ წავიდე, დავალებული ვარო. ესე იგი ღღევანდელ მასპინძელს თავის მხრივ უკვე მიურთმევია დაპატიჟებულისათვის „საჩუქარი" კარგი საქმე ხშირად მსხვერპლს მოითხოვს: მოდით, ერთმა თაობამ დაკარგოს გავალებული, ამით ქვეყანა არ დაიქცევა, დაიქცევა კი არა, პირიქით, აშენდება. ჩვენი ანგარებისა და პატივმოყვარეობის გამო ნუ ჩავაშხამებთ ახალგაზრდებს ამ ბედნიერ დღეს. დამერწმუნეთ არცერთ მათგანს არ უნდა ამდენი რია-რია და აურზაური, მათ ერთმანეთისკენ მიუხარიათ. ოცნების ცარგვალზე მიეჩქარებათ, იქ უნდათ გადაიხადონ ქორწილი! ბოლოს და ბოლოს ეს ხომ მათი დღეა!

დაე, იყოს ნება მათი!!



ნანული ცაგარეიშვილი

# ქალის კეთილდღეობისათვის

დამთავრდა სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება.

საკავშირო პროფსაბჭოს 1976 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით დათვალიერება გათვალისწინებული იყო — 1977-1978 წლებში.

რა ამოცანები იდგა სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების წინაშე დათვალიერების დროს?

მოწინავე მუშა ქალების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების, ქალთა შორის მუშაობის კომისიების, რაციონალიზატორების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპორტული ორგანიზაციების მუშაკების ფართო მონაწილეობით უნდა ეზრუნათ სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე ქალთა შემოქმედებითი და შრომითი აქტიურობის შემდგომი განვითარებისათვის, მათი საზოგადოებრივი და პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის, ქალის შრომის პირობებისა და სამედიცინო, სანიტარიულ-საკურორტო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

და აი, რესპუბლიკურმა კომისიამ ორი წლის შედეგები შეაჯამა, სადაც ნათლად გამოიკვეთა დათვალიერების პერიოდში მიღწეული შედეგები.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში დათვალიერების დროს 16 ათასზე მეტმა მუშა ქალმა აიმაღლა კვალიფიკაცია, 1940 ქალი დაეუფლა მეორე პროფესიას, 39959 ქალი, ე. ი. მუშა ქალთა საერთო რაოდენობის 66 პროცენტი 1979 წლის 1 იანვრიდან მუშაობს მოქმედი სანიტარიული ნორმების შესაბამის პირობებში.

„ცეკავშირის" სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში შრომის მავნე პირობებიდან გამოთავისუფლდა 700 ქალი, მძიმე ხელის შრომას თავი დააღწია 605 ქალმა, ქალთა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსები გაიზარდა 84 პროცენტამდე, სასადილოები და ბუფეტები ერთდროულად 1040 მოქალაქეს ემსახურება.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მძიმე ხელის სამუშაოებზე დასაქმებულ ქალთა რიცხვი 16,1 პროცენტით შემცირდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალთა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. შეძენილია 1842 ინდივიდუალური გასახდელი კარადა, რეკონსტრუირებულია 1060 კვ. მეტრი ფართობის საგარდერობო სათავსები, საშხაპეებში დამატებით დადგმულია 344 ბადე, პირსაბან ოთახებში — 214 ონკანი, მოეწყო აგრეთვე ქალთა პირადი ჰიგიენის 11 კაბინა.

ამ ორი წლის განმავლობაში კვების მრეწველობის საწარმოთა 3900-ზე მეტმა ქალმა მიიღო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების საგზურები. ამავე პერიოდში ქალებს თავიანთი შვილებისათვის მიეცათ პიონერთა ბანაკების 4900-ზე მეტი საგზური, კვალიფიკაცია აიმაღლა 2550 ქალმა. ეკონომიკურ სკოლებსა და სხვადასხვა სასწავლებლებში 6000-ზე მეტი ქალი სწავლობს.

საზოგადოებრივი დათვალიერების დროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა დამთვალიერებელ კომისიებში მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან მიღებულია 599 წინადადება, რომელთაგან 508 დაინერგა.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში იმ საამქროებისა და უბნების რიცხვი, სადაც უპირატესად ქალის შრომაა გამოყენებული, 70 ერთეულით გაიზარდა. მოქმედი სანიტარიული ნორმების შესაბამის პირობებში მომუშავე ქალთა რიცხვი 1979 წლის 1 იანვრისათვის 600-ით გაიზარდა და 2860-ს მიაღწია.

ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პროფმომსახურებაში შემავალმა ბევრმა საწარმომ, სამშენებლო სამმართველომ და ორგანიზაციამ დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. მასში გაერთიანებული იყო 60 ათასზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

დათვალიერების პერიოდში საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა მუშაკებმა 715 წინადადება შემოიტანეს, რომელთა მიზანია ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების შემდგომი გაუმჯობესება. ამ წინადადებათაგან 698 დაინერგა, რის შედეგადაც ამაღლდა სავენტილაციო სისტემებისა და დანადგარების მუშაობის ეფექტიანობა, გაუმჯობესდა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, საექსპლოატაციოდ გადაეცა 7945-ადგილიანი საგარდერობე, 165-ბადიანი საშხაპე, ქალთა პირადი ჰიგიენის 12-კაბინიანი ოთახი.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის ისეთ საწარმოებში, როგორიც არის რუსთავის ქიმიური ქარხანა, დამთვალიერებელმა კომისიამ ქარხნის მუშაკებისგან 486 წინადადება მიიღო, რომელთაგან თითქმის 80 პროცენტი დაინერგა. 1977 წელს დამთავრდა ქარხნის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმისა და სპორტული კომპლექსის, დასასვენებელი სახლების მშენებლობა მანავსა და ურეკში. საცხოვრებელ უბნებში და ქარხნის გასასვლელში გახსნილია ქიმწმენდისა და სარეცხის მიმღები პუნქტები.

ქუთაისის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მანქანა „სოლვენერი", რომელმაც 18-20 პროცენტით შეამცირა ქალის ხელის შრომა. შეძენილი და დადგმულია 1060 გასახდელი კარადა.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში განსაკუთრებით მავნე სამუშაოებისაგან გამოთავისუფლებულია 25 ქალი, ხოლო ღამით მუშაობისაგან — 600-ზე მეტი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან შემოვიდა 21,9 ათასამდე წინადადება, რომელთაგან 12 ათასზე მეტი დაინერგა. დათვალიერების შედეგად სულ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მძიმე და მავნე შრომის პირობებისაგან გამოთავისუფლებულია 151.179 ქალი, კვალიფიკაცია აიმაღლა 45360 ქალმა, მეორე პროფესიას დაეუფლა 26.851 ქალი. ამჟამად მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში 12.106 მუშა ქალი სწავლობს.

1978 წელს მშრომელ ქალთა შვილებისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი პიონერთა ბანაკი. დაბა ცხვარიჭამიაში გაიხსნა პიონერთა ქალაქი, რომელიც დარგობრივი პროფკავშირების II პიონერულ ბანაკს აერთიანებს. საერთოდ, შარშან რესპუბლიკაში იყო 800-ზე მეტი საგარეუბნო პიონერთა ბანაკი და სხვადასხვა ტიპის გამაჯანსაღებელი ბანაკები, რაც 1977 წელთან შედარებით 334-ით მეტია. აქ დაისვენა 148.499 მოსწავლემ. 5.400-მა ბავშვმა ჯანმრთელობა გაიკაჟა სანატორიული ტიპის ბანაკებში, რვა ათასზე მეტმა ბავშვმა — სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში. გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ბავშვთა რაოდენობა 13,7 პროცენტიდან 17,5 პროცენტამდე გაიზარდა.

ქალის შრომის, დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის საზოგადოებრივი დათვალიერების კომისიამ საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია. ზემოთ ჩამოთვლილი ციფრები არცთუ ცოტა მიღწევებზე მეტყველებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლოვანებები ჯერ კიდევ ბევრია, ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჯეროვნად არ მოეკიდა ამ სერიოზულ საქმეს.

საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს მშრომელ ქალზე, თითქმის ყოველწლიურად აუმჯობესებს ცხოვრების, შრომისა და დასვენების პირობებს, რათა ქალი კარგი დედაც იყოს და აქტიურ საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარებისათვის

### ნაზი ჭედია

## ცისფერ ტბას

რაღაცა უცხო და იდუმალი,
მე შენთან მრჩება ფიქრი, ზმანება,
და არ მასვენებს ეს უჩუმარი
შენი ტალღების შემოდავება.
გიცქერ და ვიგრძენ მართლაც რა დიდი,
ხელთუქმნელობა ძალუძს განგებას,
ჩემს სულსაც როგორ დაგამადლიდი,
თუ კი რამეში გამოგადგება!

## მოგონება

ლურჯ ცას სერავენ ფრთებით მერცხლები,
ამ მთების ხილვა შვებით ამავსებს,
ვუცქერი მათ და მზერით ვერ ვძღები,
რა დამავიწყებს მათ სილამაზეს.
ვგრძნობ, რომ მიხმობენ და მეძახიან,
მთები ამაყად ფესვებგადგმულნი,
იმათ სიმწვანეს სიცოცხლე ჰქვია,
ვაჟას სული აქვთ მკერდში ჩადგმული.
აქ უნდა კაცმა იცოდე ენა,
ამ მაღალ მთების და ჩანჩქერების,
აქ უნდა უფრთოდ შეიძლო ფრენა,
და ზეცას მისწვდე უნდა ხელებით...
...მიუწვდომელნი გამხდარა მზისებრ
ფუნჯით ნახატი მთათა სვეტები,
რომ მაგონდება, მგონია ისევ
ფშავ-ხევსურეთში დავეხეტები!!!

## რა მომკლავს

ჩიტებმა მორთეს სიხარულის
ჟივილ-ხივილი,
ცა გადასერეს უდარდელი, ლაღი თარეშით,
და მე რა მომკლავს, როცა მზიურ ამ
ჩემს მხარეში,
ჩიტმაც კი იცის თურმე ღიმილი...
...ნიავმა მიძღვნა ფოთლის თრთოლვა
უმხურვალესი,

შორს გამიხმო და ჩამახედა თავის
თვალებში,
აწ ამის შემდეგ, მე რა მომკლავს, ამ ჩემს
მხარეში —
ნიავმაც თუ კი იცის ალერსი...
...ჰა, ზღვაც, რომელმაც ააყვავა მწირი
სამგორი,
შორიდან მესვრის კრძალვით შხეფებს ამ
ჩუმ ღამეში,
და მე რა მომკლავს, ამის შემდეგ, როს
ჩემს მხარეში
ზღვასაც სცოდნია კრძალვით ამბორი...

### ლიდა სტვილია

## ხევსურეთში

თეთრ მძივებად გაკიდულა,
მწვერვალ-მწვერვალ თეთრი ცხვარი...
მე, კოლხეთის ასული ვარ,
ხევსურეთო, გამიცანი!
ხევსურეთი,
ხევსურეთი —
ხევეთი და მწვერვალეთი,
შატილელი მზექალაის
ბებერ სახლში შევალ ერთი...
მინდა ვცნობდე,
მინდა მცნობდეს
მისი ხატი, მისი ღმერთი.
ბოლა, ბოლა, ფთილა, ფთილა,
მაფრინდება ლურჯი კვამლი...
მითვალთვალებს თითბრის ფარი,
ვით ხევსურის მარჯვე თვალი...
როგორც ჩემი ბზის ფანდური —
ტკბილად უკრავთ მანდოლინას...
„მზისა მადლმა“ თქვენ დოხორეს,
აქ, თოლიგე
მოკო რინა...
მზექალაო, მალავს რამდენს,
სათოფური — თითქოს ჩადრი,
ამ იწროდან —
შენს ტახტამდე
მზეი მაინც უხვად ჩადის.
აჭრიალდა ძველ ამბების,
თავდაღმართი და აღმართი...
ჩვენ გვისმენს და
ფხაჭნის კედელს
ძველთ ბეგთარი ლომის თათი.

## შატილის ციხესთან

სათოფურიდან
რომ გამოფრინდა,
ო, ის პეპელაც
თითქოს ტყვია...
შემაკრთო თორღვავ,
ჩავიდეთ მინდვრად,
აქ დაკრეფილი
არ მინდის იაც...
სათოფურიდან,
თითქოს და ახლაც,
თოფებს ლულები გადმოუყვია...
მეშინის, თორღვავ,
გრძნობა მაქვს, თითქოს
მწვერვალზე თითქოს
მომწვდება ტყვია.
— იყუჩე, ქალავ,
ეს.. იყო.... როდის,
დიდი ქისტობა,
დიდი ლეკობა...
ამას უყურე... ყოილი ყოილს
ზედ სიყვარულით
როგორ ეკრობა.

## ბიბო მართა

არ ისვენებს ერთი წუთით,
შეუხსნია თმაზე ბაფთა,
მოთხუპნულა შავი თუთით,
დაუსვრია კაბის კალთა,
გაწეწილი, დათხუპნული,
დასეირნობს ალთა, ბალთა,
დაღლალა ძებნით გული,
ძლივს იპოვა ბებომ მართა.
გაკვირვებით უცქერს ყველა.
ნეტავი რა დაემართა?
ბავშვია თუ საფრთხობელა
ატუზული ბოსტნის კართან?

## ლხინი

გიგლა, ამ ჩემ სალამურს
შენ ჩაბერე ხანდახან,
ზოგჯერ ცეკვა მეცა მსურს
„ქართული“ და „განდაგან“.
რაღას უცდი მამუკავ,
დოლი შენსკენ მოგორავს,
არ გაუშვა, დაუკარ
„ცანგალა და გოგონა“.

თამარ აბულაძე

## ნატული

წუხს ბებია ლოგინში,
სიარულის ნატრული...
თავის საწერ მაგიდას
მისჯდომია ნატული.
განა რამეს კითხულობს? —
ხატვით არის გართული...
მართა ბებო დახატა,
მხნე და წელგამართული!

## სათამაშო თაგუნა

ფისუნიას რად უნდა
სათამაშო თაგუნა? —
ლატარიის ბილეთმა
სწორედ ასე არგუნა...

## [illegible]

ტაში, ტაში, ტაშ-ფანდურა,
მზე მინდორში გაფანტულა,
დილის ცვარი ოქროსმძივა
ბალახებში ჩაქარგულა...

მინდორ-მინდორ მოიმღერის
ხათუნია თვალხატულა,
მზის გული და მზის გვირგვინი
გვირილებში ჩახატულა...

იმერ ხარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასოთამწყობები

ბათუმის სტამბას ბევრი კარგი, ინიციატივიანი და შრომისთვის თავდადებული ქალი ჰყავს. მათ შორის არიან დები — ზაირა და ლიანა ჯღარკავები. ისინი ოცი წელია ასოთამწყობად მუშაობენ სტამბაში. მათი საამქრო ყოველთვის მოწინავეა. დები არ ჩამორჩებიან ერთმანეთს, მაგრამ ზაირა მაინც გამოირჩევა თავისი მიღწევებით. — კომუნისტური შრომის დამკვრელია, ორჯერ არის დაჯილდოებული სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით. ახლახან III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით დააჯილდოვეს და აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა. მთავრობის ამ დიდი ჯილდოს პასუხად ის კვლავ ენთუზიაზმით შრომობს.

ლიანამ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღო უმაღლესი პედაგოგიური განათლება, მაგრამ პროფესიის სიყვარულმა სტამბას მაინც ვერ დააცილა. ხელმძღვანელობამ ის საამქროს უფროსად დააწინაურა. დებისათვის წარმოუდგენელია სხვა სამსახური. რომ ჰკითხოთ, როდემდე აპირებთ სტამბაში მუშაობასო, გიპასუხებენ, სანამ ჯანი და ღონე გვერჩისო.

ლეილა ბეჟანიძე



# უცხოური იუმორი

რამდენიმე დღეა, რაც, დიდი ჩხუბის შემდეგ, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ხმას არ სცემენ. ერთხელ ცოლს თავის საწოლზე ბარათი ხვდება: „გამაღვიძე ხვალ შვიდის ნახევარზე".

მეორე დილით ქმარი ცხრა საათზე იღვიძებს და სასთუმალთან წერილს პოულობს: „ადექი, უკვე რვის ოცი წუთია".

* * *

— მე შენ ყველაფრით მომწონხარ, — ეუბნება ახალშერთული მეუღლე თავის ცოლს, — გარეგნობით, მომხიბლაობით, ჭკუით, — ნამდვილად სწორუპოვარი ქალი ხარ! ახლა შენ მითხარი, რა მოგწონს ჩემი ყველაზე მეტად?

— გემოვნება!

* * *

— თქვენთვის, ამ მდგომარეობაში, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, ცოლს დაბრუნებოდით.

—მაპატიეთ, მაგრამ, თქვენი აზრით, უარესი ვარიანტი რომელიღაა?

* * *

— ნეტავ, გამაგებინა, რამ გაყიდინა მაჩეკისათვის ეს რაღაც ოხერი უმტვრევი სათამაშო!

— როგორ! ნუთუ გატეხა? შეუძლებელია!

— შეუძლებელია! მაგ სათამაშოთი მან ჩვენი დიდი სერვიზი დაამტვრია...

* * *

ორი მეგობარი ქალი საუბრობს მესამეზე, რომელიც ახლახან კინოვარსკვლავი გახდა.

— სულ პატარაობიდან მახსოვს, — ამბობს ერთი, — შვიდი წლისა რომ იყო, მაგაზე უშნო გოგო ბრუკლინში არ დადიოდა.

— ჰო, ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა, — უმატებს მეორე. ახლა ის ყველაზე უშნო ქალია ჰოლივუდში.

* * *

—ყური მიგდეთ ჟაკლინ: რა უყავით იმ წერილს, ჩემს საწერ მაგიდაზე რომ იდო?

— ფოსტ[illegible], მადამ.

— კი მაგრამ, კონვერტს მისამართი რომ არ ეწერა!

— დიახ, მეც ამიტომ გავიფიქრე, ალბათ მადამს არ სურს, რო[illegible] მე ვიცოდე, ვისთანა აქვს მიწერ-მოწერა მეთქი.

* * *

— გაიგე ახალი ამბავი? — ჟანი საავადმყოფოშია.

— შეუძლებელია. წუხელ საღამოს ბარში ვნახე ვიღაც მომხიბლავ ქერა ქალთან.

— ჰოდა, საქმეც ეგ არის — ცოლსაც უნახავს...



# თამარ ლეჟავა

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1949 წლიდან, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი თამარ შერბაკოს ასული ცერცვაძე-ლეჟავა.

იგი დაიბადა 1905 წელს. თბილისის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იყო სამხედრო ინვალიდთა სახლის კულტმუშაკი, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის ინსტრუქტორი, წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციაში ჯერ ლიტმუშაკად, შემდეგ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ.

1948 წლიდან 1957 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაიონული საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად.

1934 წლიდან თ. ცერცვაძე-ლეჟავა ყველა მოწვევის საქალაქო და რაიონული საბჭოს დეპუტატია, წლების განმავლობაში სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა პირველი მაისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

მუდამ მოუსვენარი, ახლის ძიებით დაინტერესებული თამარი ზრუნავდა დედაქალაქის სიკეთეზე. მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

გულისხმიერი და კარგი ადამიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

თბილისის საქალაქო და პირველი მაისის რაიონული ქალთა საბჭოები..

ეროვნული ბიბლიოთეკა




მოდელების ავტორი მხატვარ-მოდელიორი ნანა ცქვიტაია

# მოდა

1. შალის ქსოვილის საგაზაფხულო კაბა კოკეტითა და მთლიანად აჭრილი სახელოებით. ქვედა კაბის წინა კალთაც კოკეტიანია და ვიწროდ გამოკერილი ნაკეცები აქვს.

2. ტრიკოტაჟის ქსოვილის საგაზაფხულო კაბა: წინა კალთის ზედა ნაწილს ღრმა ნაკეცები აქვს. სახელოები მიკერებულია. ქვედა კაბა ირიბად არის აჭრილი.

3. ყოველდღიური კომპლექტი: მოკლე ჟილეტი რელიეფებით. ქვედა კაბა ირიბად არის აჭრილი. წინ ერთმხრივი ნაკეცებით. შავი ფერის ბლუზა-ბაბთა-საყელოთი.

4. გამოსასვლელი კაბა ტრიკოტაჟის ქსოვილისგან: ზედა ნაწილი ანაოჭებულია. გულისპირი და სახელოები გაწყობილია გოფრირებული მარმაშით. ქვედა კაბა ორიბად არის აჭრილი და გოფრირებულია.

5. საგაზაფხულო კაბა შალის ქსოვილისგან, კოკეტითა და პატარა მრგვალი საყელოთი. სახელოები მიკერებულია. ქვედა კაბას წინ ორმაგი შემხვედრი ნაკეცი აქვს, გვერდის ნაკერებში ჯიბეებია.

6. ტრიკოტაჟის ქსოვილის კოსტუმი. ჟაკეტი თავისუფალი ფორმის არის, მთლიანად აჭრილი სახელოებით, პატარა მდგარი საყელოთი და თამასიანი შესაკრავით. მხრის ადგილი გამოკერილია ვიწრო ნაკეცებით. ქვედა კაბა ირიბად არის აჭრილი და ანაოჭებულია.

7. ტრიკოტაჟის ქსოვილის საგაზაფხულო კაბა: ზედა ნაწილი თავისუფალი ფორმის არის. მდგარი საყელოთი და ასიმეტრიული შესაკრავით. ქვედა კაბა სწორია.

8. ტრიკოტაჟის ქსოვილის საგაზაფხულო კაბა: ზედა ნაწილი თავისუფალი ფორმის არის, რეგლანი სახელოებით. ქვედა კაბა ირიბად არის აჭრილი. კაბას ამშვენებს განიერი კონტრასტული ფერის ბეიკები.



# თამარ მეფის ხატი რიბინსკში

ლიტველ ფერმწერსა და კოლექციონერს ვლადიმერ კასატკინს რუსეთში, იაროსლავის გუბერნიაში ყოფნისას ქალაქ რიბინსკის სიძველეთა შორის მიუკვლევია ხის პატარა ფიცარზე შესრულებული სალოცავი ხატისათვის — მეფურ სამოსელში გამოწყობილ, ფეხზემდგომ გვირგვინოსან დედოფალს წმინდანობის შარავანდედის რკალი ადგას. რკალს კი წრიულად მოსდევს წარწერა ძველი რუსული ორთოგრაფიით: „წმინდა თამარ, დედოფალი ქართველთა“.

სურათი XVIII საუკუნის რუსული ხატწერის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი რეალისტური მანერით არის შესრულებული, რაც ნათელს ხდის მისი წარმოშობის დროსა და სადაურობას. მაგრამ... ვინ ლოცულობდა შორეულ რუსეთში ქართველი დედოფლის წმინდანად გამხდარი სახის წინ, ვისთვის იყო საფიცარ ხატად ქცეული თამარის სახე — ფეოდალური საქართველოს ძლიერებისა და შოთას გენიით გვირგვინდებული დიდების სიმბოლო, როგორ მოხვდა იგი რიბინსკში? — აი კითხვები, რომლებიც აღძრა ამ უცნაურმა და უნიკალურმა ხატმა!

სსრ კავშირის სახალხო მხატვარი აპოლონ ქუთათელაძე ამის შესახებ მოგვითხრობს: ლიტველ მხატვარს, ჩემს კოლეგას გაეგო, რომ მე თამარის ეპოქის ერთ-ერთ ეპიზოდს ვასურათებდი და, ნიშნად ამისა, მიძღვნა ეს ხატი. ვფიქრობ, ის ჩვენი სამშობლოს წარსული ბედ-იღბლის ნაშთია და მისი ადგილი იქ უნდა იყოს, სადაც საქართველოს ისტორიის საბუთებია დაცული. ამიერიდან იგი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაიდებს ბინას...

მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმაზე, თუ რა ისტორიული მოვლენები უდევს საფუძვლად თამარ მეფის იმ დიდ საქმეებს, რომლითაც მან სახელი გაითქვა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, რაც სათავეს იღებს იმ დროიდან, როცა აღსრულდა თამარის ხელმეორედ აყვანა სამეფო ტახტზე. თავის მამის თანამოსაყდრედ თამარმა ექვსი წელიწადი დაჰყო, და ამ ხნის განმავლობაში მამასთან ერთად იჯდა სამეფო ტახტზე. მამის სიკვდილის შემდეგ, მას მეფობა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციისა და წინააღმდეგობათა გამო ასე არ მომხდარა. გიორგი III გარდაცვალების დღიდან თამარი ტახტიდან გადადგა და საქართველოს მეფის ვინაობის საკითხი კვლავ ღიად დარჩა. მცირე ხნის შემდეგ, პოლიტიკური წრეების წარმომადგენელნი მივიდნენ თამარის მამიდასთან, რუსუდანთან და თხოვეს თამარი მამაპაპეულ ტახტს დაბრუნებოდა და კვლავ მიეღო სამეფო გვირგვინი. თამარი დათანხმდა. დასავლეთ საქართველოდან მოიწვიეს მთავარეპისკოპოსი ანტონ ქუთათელი, რაჭისა და თაკვერის (ლეჩხუმის) ერისთავი კახაბერი და მათ გვირგვინი დაადგეს თამარს, ხოლო დიდებულებმა: ვარდანისძეებმა, სალარისძეებმა და ამანელისძეებმა მოიტანეს და მის წინაშე დადეს სამეფო ხმალი. ამის შემდეგ თამარი აიყვანეს ტახტზე და დაიწყო მილოცვა... თამარის მემატიანე იუწყება, რომ ეს ამბავი დიდი ზეიმით აღინიშნა. მთელ ქალაქში ისმოდა საკრავების: სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა ხმა. ფეოდალურ საქართველოს მეფეთა შორის თამარი ერთადერთი იყო, რომელიც ორჯერ ზეიმით აიყვანეს ტახტზე. მეფე ქალმა ბრძანება გასცა გაეხსნათ სამეფო საჭურჭლე (საგანძური) და ძვირფასი საჩუქრები დაერიგებინათ ყველასათვის. თამარის წყალობა და ყურადღება არავის დაჰკლებია. არც ქვრივ-ობლებს, მათთვის იმდენი მიუციათ, რომ დაზრდილიყვნენ და ქორწილიც წესისამებრ გადაეხადათ. არც გლახაკები გამორჩენიათ, რომელთა რიცხვი მაშინ საქართველოში ცოტა არ უნდა ყოფილიყო...

ასეთმა გულკეთილობამ გაზარდა თამარის ავტორიტეტი და მისი სახელი ცამდე აიყვანა...

ცნობილია, რომ თამარის დროს საქართველო კიდევ უფრო გამდიდრდა და დაწინაურდა. დაწინაურდა ქვეყნის მეურნეობა, ვაჭრობა, განთქმულია მაშინდელი ძლევამოსილი საგარეო ომები. თამარი ყველა ფრონტზე გამარჯვებული გამოდიოდა.

1204 წელს ძველი პონტოს მიწა-წყალს თურქების ხელში გადასვლა ემუქრებოდა, სადაც უხსოვარი დროიდან ქართველები ცხოვრობდნენ. თამარმა ეს კარგად იცოდა და, რასაკვირველია, არ უნდოდა იქაური ქართველების თურქების უღელქვეშ მოქცევა. ამიტომ მან ჯარს უბრძანა დაეკავებინათ შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთი სანაპირო და დაეხსნათ თანამემამულენი თურქების მონობისაგან. ასეც მოხდა. ქართველთა მხედრობა შევიდა ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში და დაიკავა ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, ამასტრია და სხვა ადგილები. შემდეგ თამარმა ეს მიწა-წყალი გააერთიანა და მასზე ცალკე სახელმწიფო დაარსა. რადგანაც ამ ადგილების დედაქალაქი ტრაპიზონი იყო, სამეფოს, რომელიც 24 მაზრისაგან შედგებოდა, ტრაპიზონის იმპერია ეწოდა. თამარმა იქ მეფედ თავისი ახლო ნათესავი ალექსი კომნენი დასვა.

ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ რუსულ სასულიერო მწერლობაში ჯერ კიდევ მე-13 საუკუნიდან შევიდა „თქმულება დინარას შესახებ“. ეს ნაწარმოები თარგმნილია ბერძნულიდან. თუმცა მისი ორიგინალი დღემდე მიკვლეული არ არის. არსებობს მოსაზრება, რომ თქმულება დინარაზე წარმოადგენდა ტრაპიზონის საკეისროში შექმნილ „თამარის ცხოვრების“ თარგმანს. ტრაპიზონი კულტურულად ბერძნული კულტურის არეალში შედიოდა, მაგრამ მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკურად ქართულ-ლაზური წარმომავლობის გამო პოლიტიკურად ქართულ ორიენტაციაზე იდგა.

თქმულება ივერთა დედოფალ დინარაზე შუასაუკუნეების რუსული საზოგადოების ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოებია. მის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ივანე მრისხანე თავის მიმართვებში ლაშქრისა და ხალხისადმი ხშირად იხსენებდა დინარას. XVII-XVIII საუკუნეებში კი ქართულ-რუსული ურთიერთობის გაფართოებასთან დაკავშირებით თანდათან ფეხს იკიდებს „თამარი“ ნაცვლად „დინარასი“. ვახტანგ VI რუსეთში გადახვეწის შემდეგ მხოლოდ „თამარი“ გვხვდება.

თამარის ძლიერება ცნობილი გახდა ყველა მოსაზღვრე და არამოსაზღვრე ქვეყნებისათვის. მუსლიმანურ ქვეყნებზე ქრისტიანი მეფის გამარჯვებებმა აღაფრთოვანა ერთმორწმუნე რუსეთი, და დაიწყო ელჩების ჩამოსვლა რუსეთიდან საქართველოში. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ირანში ქართველი ჯარის ლაშქრობა.

როგორც ცნობილია, ირანელი სულთანები მოულოდნელი და ქურდული თავდასხმებით საქართველოს მეგობარ ქვეყნებს მოსვენებას არ აძლევდნენ. თამარმა მათი დასჯა გადაწყვიტა. ქართველებმა ზედიზედ დაამარცხეს ირანელთა ნაქები ჯარები და დაიკავეს მთელი ჩრდილოეთ ირანი. მათ ყოველწლიური ხარკიც დაეკისრათ.

ერთმორწმუნე რუსმა ხალხმა დააფასა თამარის დიდი ნიჭი, კაცთმოყვარეობა, ქვეყნისადმი დიდი ამაგი, საწყალთა და დაჩაგრულთა ფეხზე დაყენება, ქრისტიანული სამყაროს დაცვა და ყველა ეს ისტორიული ფაქტი საფუძვლად დაედო თამარისადმი იმ დიდ პატივისცემას, რომ იგი წმინდანად აღიარეს, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ თამარ მეფის სურათი საქართველოდან რიბინსკში წაიღეს, მეფურ სამოსელში გამოწყობილი, ფეხზემდგომი თამარი სალოცავ ხატად აქციეს...

 აი სათავე რუს და ქართველთა ურთიერთობისა.

შოთა ლეკვეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომში წავიდა და ვერ დაბრუნდა

# ომის გზებზე



თბილისელი ნანი კიკილაშვილი ლანჩხუთის რაიონის საავადმყოფოში მუშაობდა ექიმად, როცა სამამულო ომი დაიწყო. კომკავშირელი ქალიშვილი მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. იგი 119-ე საველე ჰოსპიტალში ჯერ რიგითი ექიმი იყო, შემდეგ კი განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ნანის ძმა სოსო მაშინ თბილისში ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკად ითვლებოდა და ჯავშანიც ჰქონდა. მაგრამ ისიც მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

ნანიმ ბრძოლით გაიარა ყირიმი, ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა, მოლდავეთი და რუმინეთი.

1941 წლის დეკემბრის ბოლოს 119-ე საველე ჰოსპიტალი დესანტად გადასხეს მტრის მიერ ოკუპირებულ ქერჩში. ჰოსპიტალი კამიშ-ბურუნის რაიონში დაბანაკდა. აქ უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების გვამებით სავსე თხრილები ნახეს. ეტყობა, მათი მიწით დაფარვა მტერს ვერ მოესწრო. დახვრეტილთა შორის ზოგი ჯერ კიდევ სუნთქავდა. ისინი სასწრაფოდ ჰოსპიტალში მოათავსეს.

— ექიმო, არ მიმკურნალო, — ქვითინით შეევედრა ერთი დაჭრილთაგანი ნანი კიკილაშვილს, — უმჯობესია მოვკვდე, რადგან ჩემი თხუთმეტი წლის ბიჭი ჩემს თვალწინ დახვრიტეს ჯალათებმა. ამის შემდეგ შე სიცოცხლე აღარ მინდა. ნეტავი მე მოვმკვდარიყავი და ის გადარჩენილიყო, — თქვა და თავში ხელები წაიშინა.

მამის მწუხარებამ დაალონა ნანი. მან მედიცინის დებთან ერთად სწრაფად დაირბინა ჰოსპიტლის განყოფილებები. იპოვა 15 წლის ვაჟი, რომელიც დაჭრილი და ნაწამები იყო. ამსვე მამასთან გადაიყვანა და მამა-შვილის უსაზღვრო სიხარულით გაიხარა.

კამიშ-ბურუნიდან ჰოსპიტალმა სემიკოლოდეზში გადაინაცვლა.

თბილისში მცხოვრებ დედას ნანისაგან ხშირად მოსდიოდა იმედით სავსე სამკუთხა ბარათები. 1942 წლის 21 თებერვლის წერილში იგი წერდა: „ჩვენი უძლეველი არმია სულ მალე გაათავისუფლებს კაცობრიობას ვერაგი ფაშიზმისაგან. მე სიამოვნებით ვმუშაობ და კმაყოფილი ვარ, რომ სამშობლოს დაცვაში ვიღებ მონაწილეობას, ოღონდ თქვენ მენატრებით, ჩემო ტკბილო დედიკო“.

ნანი ყოველმხრივ ზრუნავდა დაჭრილებისათვის. თუ რომელიმეს უმადობას შეამჩნევდა, ეკითხებოდა რას შეჭამო და ყველაფერს იღონებდა, იმ საჭმელს გაუჩენდა. წამლებისთვისაც თვითონ მიდიოდა საველე ჰოსპიტალში, სადაც ტყიბულელი პროვიზორი ქეთევან კუპრაშვილი მუშაობდა.

— ქეთინო, გენაცვალე, მძიმე ავადმყოფი მყავს და ეს წამალი სწრაფად უნდა გამიმზადო, — ეტყოდა ნანი კუპრაშვილს. ქეთევანიც ჯარასავით დატრიალდებოდა და წამალიც მზად იყო.

„ღამე ერთად უნდა გაგვეთია, — იგონებს ქ. კუპრაშვილი, — მაგრამ ნანის იშვიათად ეძინა. ხანდახან დამჯდარნი ერთმანეთს მივეყრდნობოდით და ჩავთვლემდით. შუაღამისას მეტყოდა: ქეთინო, კედელს მიეყრდენი, გეთაყვა არ წაიქცე, მე ახლა მივდივარ, ჩემს არწივებს უნდა დავხედო, იქნებ უჭირთო. ასე მეორდებოდა ყოველ ღამე. როცა მძიმედ დაჭრილი ჰყავდა, მაშინ არც შორდებოდა მას.“

„საკმაოდ დიდი შრომა გვიწევს. ოთხი თვეა ტანთ არ გამიხდია, მაგრამ მაინც კარგად ვარ... მოუთმენლად ველი, როდის გავანადგურებთ ფაშისტებს და დავბრუნდები“, — იწერებოდა ნანი შინ.

1942 წლის მაისი იყო. საბჭოთა ჯარები მეორედ ტოვებდნენ ქერჩს. ნანი მტერზე გამარჯვების რწმენას მაინც არ კარგავდა. მან ყირიმის ტრაგედიას ლექსი უძღვნა, რომელიც შემდეგი სტრიქონებით მთავრდებოდა:

> არ მაშინებს მტრის მუქარა,
> გამარჯვება წილად გვხვდება, მწამს.
> მალე ჩავალ ჩემს თბილისში,
> მალე დავლევ ნატახტარის წყალს.

ამ სტრიქონებს იგი ხშირად მღეროდა.

აზოვის ზღვის სანაპიროდან ჯერ დაჭრილები გააცილა დიდ მიწაზე, შემდეგ თვითონაც წავიდა ბარჯით.

ნანი მარტო დაუღალავი შრომით კი არა, დიდი გამბედაობითაც გამოირჩეოდა მედიცინის სხვა მუშაკებისაგან. აი, რას წერს თავის მოგონებაში მედიცინის და ნაზი მაჭავარიანი: „...ერთხელ გერმანელთა „იუნკერსი“ პიკირებით დაეშვა ჰოსპიტლის თავზე. ყველამ სანგარს მივაშურეთ, სანგრებში მყოფნი ვხედავდით, როგორ ყრიდა ყუმბარებს „იუნკერსი“. ამ დროს ჰოსპიტლის შენობიდან გამოვარდა ნანი, მას ხელში მტრის ჩამოგდებული ყუმბარა ეჭირა, რომელიც არ აფეთქებულიყო.

— შეხედეთ, ხალხნო, შეხედეთ! მტრის ბანაკშიაც გვყოლია მეგობრები, ისეთ ბომბებს გზავნიან, რომელიც არ ფეთქდება, — თქვა და ბომბით სანგრებისაკენ გამოეშურა.

— ნანი, რას ჩადიხარ!

— ნანი, გააგდე ხელიდან.

— ნანი, აქეთ ნუ მოგაქვს! — გაისმა ყოველი მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანიმ მშვიდი ღიმილით მიიტანა იგი თივის ზვინთან და შიგ შეაგორა. შემდეგ კი მიწა გათხარა და ჩაფლო.

ნანი ჰოსპიტალში კედლის გაზეთს უშვებდა, სტენდებს აფორმებდა, კულტურულ ღონისძიებებს ამზადებდა.

„ნანიმ და ქსენია ჭელიძემ ჰოსპიტლის თვითმოქმედების საღამოზე ქართული ცეკვით მოხიბლეს საბჭოთა კავშირის მარშალი ტიმოშენკო, რომელიც ჰოსპიტლის თანამშრომლების და დაჭრილების თხოვნით დაესწრო საღამოს. მაშინ მარშალმა ნანის ბრაუნინგის სისტემის პატარა რევოლვერი აჩუქა. ამ ძვირფას საჩუქარს ნანი არ იცილებდა“. — წერს თავის მოგონებაში რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი ა. სულამანიძე.

ნანის ძალიან უყვარდა ბუნება. როგორც კი თავისუფალ დროს იშოვნიდა, ხეზე ავიდოდა, ტოტზე ჩამოჯდებოდა და წიგნის კითხვას შეუდგებოდა. მტრის უკუქცევით აღფრთოვანებული, ერთხელ ძალზე მაღალ ხეზე ასულიყო. ამ საოცარი სურათის დანახვაზე მედიცინის დებმა ნაზი მაჭავარიანმა და ნინო მაჩალაძემ ერთხმად მიაძახეს: ჩამოდი ნანი ძირს, თორემ მტერი დაგინახავს და ტყვიებს დაგიშენსო.

ნანიმ მარცხენა ხელი ხის კენწეროს შემოხვია, მარჯვენა კი დასავლეთისაკენ გაიშვირა და ფრონტელ მეგობრებს სიმღერით ჩამოსძახა:

მტერი გარბის, გოგონებო,
გამარჯვება მოგვდგომია კარს.
მალე ჩავალ ჩემს თბილისში,
მალე დავლევ ნატახტარის წყალს.

1944 წლის იანვარში დედის გული კვლავ გაახარა ფრონტელი ქალიშვილის წერილმა: „ჩემო ძვირფასო დედიკო, — გილოცავთ ახალ წელს. ჩემი დიდი სურვილია ამ წელს შევხვდეთ ერთმანეთს. მიხარია, რომ სოსოს მედალი მიუღია, მეც ვარ წარდგენილი ჯილდოზე“.

ნანი დააჯილდოვეს მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

1944 წლის ზაფხულში ნანი ავად გახდა. აგვისტოში ავადმყოფის მდგომარეობა გართულდა და რუმინეთის ქალაქ ტულჩის საავადმყოფოში მოათავსეს. ყველა ღონე იხმარეს, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. თბილისს, ნატახტრის წყალს მონატრებული მიიბარა იგი რუმინეთის მადლიერმა მიწამ.

ჩვენ დავინტერესდით კიკილაშვილის საფლავით და 1963 წელს წერილი გავაგზავნეთ ქალაქ ტულჩაში. პასუხმაც არ დააყოვნა. ტულჩის საქალაქო გაზეთ „დელტას“ რედაქტორი იტყობინებოდა:

„ძიება ამაო არ გამოდგა. ჩვენი ქალაქის გმირთა სასაფლაოზე რუმინელ და საბჭოთა გმირების მრავალრიცხოვან საფლავთა შორის ვიპოვეთ კაპიტან ნანი რაჟდენის ასულ კიკილაშვილის საფლავი. ამ საფლავებს უვლიან და მათ წინაშე თავს ხრიან ქალაქ ტულჩის მცხოვრებნი, რუმინელი ხალხი...“

**მარგო კიკაბიძე**

# პამიდორი აივანზე

აივანზე პამიდორის გამოზრდა შეიძლება ვედროებში, ყუთებში, ქოთნებში და სპეციალურად დამზადებულ სხვა ჭურჭელში, რომლებიც წინასწარ უნდა აივსოს ჩვეულებრივი მიწისა და გადამწვარი ნაკელის ნარევით. ასეთნაირად შემზადებულ ნიადაგს უნდა ავურიოთ 10 გრამი გოგირდმჟავა კალიუმი და 15 გრამი სუპერფოსფატი. თუ ეს არ მოგვეპოება, შეიძლება შევცვალოთ 100 გრამი ნაცრით. (არ შეიძლება პამიდვრის გამოზრდა აზოტიანი სასუქის სიჭარბეში, რადგანაც ის ახანგრძლივებს მსხმოიარობის დაწყებასა და ნაყოფის სიმწიფეს). ასე მომზადებული ნიადაგით სავსე ჭურჭლის ცენტრში ვრგავთ პამიდორის ჩითილს, თუ მეორე დღეს მზიანი, ცხელი ამინდია, ჩითილი ქაღალდით უნდა დავჩრდილოთ. შემდგომ უნდა მოვრწყათ და გამოვკვებოთ. ზრდის დასაჩქარებლად უნდა მოვრწყათ წინასწარ მომზადებული ხსნარით: 10 ლიტრ წყალში გავხსნით 15 გრამ ამონიუმის გვარჯილას, 30 გრამ სუპერფოსფატს და 20 გრამ გოგირდმჟავა კალიუმს. ხსნარის შეზავება ამინდზეც არის დამოკიდებული. ღრუბლიან და ნოტიო დღეებში კალიუმის დოზა იზრდება, მზიანში კი — მცირდება. ასეთ ხსნარს 8 დღეში ერთხელ ვუსხამთ თითოეულ ძირს (0,5 ლიტრს).

იმისათვის, რომ დავაჩქაროთ ნაყოფის ადრეულად ფორმირება და სიმწიფე, საჭიროა პამიდვრის ვეგეტატიური ნაწილების ნორმირება საზრდელი კვირტების მოცილებით, რასაც გასხვლასა და წვეროების წაჩქმეტას უწოდებენ. გასხვლისას მცენარეს უნდა მოშორდეს ყველა ამონაყარი, ანუ ნამხრევი, რომლებიც თითქმის ყველა ფოთლის იღლიებიდან უვითარდება, რადგანაც აივანზე პამიდორი ერთღეროიანი ან ორ და სამ ღეროიანი ფორმით მოჰყავთ. ნამხრევები უნდა შევაჭრათ მჭრელი დანით, სანამდე ისინი 5-7 სმ სიგრძეს მიაღწევდეს. ერთღეროიანი ფორმის გამოყვანის დროს ვაცლით ყველა გვერდით ტოტსა და ნამხრევს და ვტოვებთ ერთ მთავარ ღეროს. ორ და სამ ღეროიანი ფორმით გამოზრდის დროს, მთავარი ღეროს გარდა ვუტოვებთ პირველ მტევანთან ახლოს მდებარე ყველაზე კარგად განვითარებულ გვერდით ერთ ან ორ ყლორტს, ხოლო დანარჩენს ვაცლით. შემდგომი გასხვლებისას კი, რასაც ზაფხულის განმავლობაში 3-5-ჯერ იმეორებენ, ხდება წამოზრდილი ნამხრევების შეცვლა და საზრდელი კვირტების ანუ ზრდის წერტილების მოცილება. პომიდვრის გასხვლით, ანუ ნამხრევებისა და ზრდის წერტილების შეცვლით უმჯობესდება მცენარეზე დარჩენილი ვეგეტატიური და გენერაციული ნაწილების კვება, რაც ხელს უწყობს ნაყოფის დამსხვილებასა და ადრეულ დამწიფებას. პამიდორს უყვარს ნოტიო ნიადაგი და მშრალი ჰაერი. თუ ჰაერის ტენიანობამ 70 პროცენტს გადააჭარბა, ეწყება ყვავილთცვენა, რადგანაც ნორმალური დამტვერვის პირობები იზღუდება. პამიდორს ყვავილთცვენა ახასიათებს ტენისა და საკვები ელემენტების ნაკლოვანების დროსაც. ამიტომ საჭირო ხდება განვაგრძოთ მისი გამოკვება 8-10 დღეში ერთხელ.



ყვავილობის პერიოდში პამიდორი უნდა მოვრწყათ ისეთი ხსნარით, რომელშიც ყოველ 10 ლიტრში გახსნილი იქნება 10 გრამი ამონიუმის გვარჯილა, 40 გრამი სუპერფოსფატი და 30 გრამი გოგირდმჟავა კალიუმი, ხოლო ნაყოფიერების პერიოდში ეს დოზები იცვლება 20 გრამი ამონიუმის გვარჯილით, 30 გრამი სუპერფოსფატითა და 40 გრამი გოგირდმჟავა კალიუმით. თუ ასეთ ხსნარს დავუმატებთ მიკროელემენტებს: ერთ გრამ ბორისმჟავას, 0,5 გრამ გოგირდმჟავა სპილენძს და ერთ გრამ გოგირდმჟავა მარგანეცს, კიდევ უფრო დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარებთ სიმწიფესა და ავამაღლებთ ნაყოფის შაქრიანობას.

პამიდორზე კარგად მოქმედებს ფესვგარეშე გამოკვება, რომელიც დილის ან საღამოს [illegible] ხდება თვეში ორჯერ. პირველი — ყვავილობის დასაწყისში, ხოლო მეორე — ნაყოფიერების დროს. ამისათვის ყოველ 10 ლიტრ წყალზე იღებენ 5 გრამ ამონიუმის გვარჯილას, 10 გრამ გოგირდმჟავა კალიუმს და 5 გრამ სუპერფოსფატს, რომელსაც სასურველია დაემატოს მიკროელემენტებიც. ნაყოფიერების დროს კი სასუქების დოზები ორჯერ იზრდება.

დარგვის შემდეგ პამიდორს ვუდგამთ საყრდენს, რომელიც 10 სანტიმეტრით უნდა იყოს დაშორებული მცენარიდან და მასზე უნდა აეკრას ღეროები, მათი ზრდის შესაბამისად. საყრდენი შეიძლება გამოვიყენოთ ნაყოფიერების გასაუმჯობესებლადაც. რადგანაც პამიდორი თვითდამტვერვით ვითარდება, საყრდენზე ხის ჯოხის მსუბუქი შეხებით მცენარის შერხევა იწვევს დამტვერვის გაუმჯობესებას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს შუადღისას ცხელ და მშრალ ჰაერზე.

როცა პამიდორის აივანზე მოყვანის წესებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მეტად უბრალო და ყველასათვის ხელმისაწვდომი საშუალება, რომელიც აჩქარებს პამიდვრის ზრდას და ზრდის პროდუქტიულობას. ეს გახლავთ პამიდორის დამუშავება წიწვნარის გამონაწურით. ამისათვის იღებენ ახალგაზრდა ფიჭვის შტოებს ან ტოტებს. ექვსი დღე-ღამის განმავლობაში ინახავენ სარდაფში +2-4° ტემპერატურაზე (ეს აუცილებელი ღონისძიებაა), რის შემდეგ აქუცმაცებენ წვრილ ნაწილებად, ყრიან ვედროში ან ქვაბში,ასხამენ ორ წილ წყალს (საწყაულის მიხედვით) და მიჰყავთ დუღილამდე. 5 წუთის დუღილის შემდეგ აცივებენ, ატარებენ საცერში და ხმარების წინ ყოველ ერთ წილს აზავებენ 3 წილ წყალში, რასაც იყენებენ პამიდვრის შესასხურებლად. ასეთი ხსნარით შესხურება თვალნათლივ აჩქარებს ზრდას, ზრდის პროდუქტიულობას და აჩქარებს დამწიფებას. ეს მეთოდი პრაქტიკულად ნაცადია და, როგორც გამოცდილება წარდგენილი იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე ჯერ კიდევ 1974 წელს.

ამგვარად, აივანზე პამიდორის გამოზრდა მეტად მარტივი და სახალისო სამუშაოა, რომლითაც ყოველ ძირზე 5-6 კილოგრამი პამიდორი შეიძლება მივიღოთ. თუ შემოდგომის სიცივეებმა მოგვისწრო, ასეთნაირად გამოზრდილი პამიდორი შეიძლება ოთახში შევიტანოთ, მოვათავსოთ ფანჯრის რაფაზე, ყვავილები და წვრილი ნაყოფები გავაცალოთ, რის შემდეგ დანარჩენი ნაყოფები მსხვილდება და მწიფდება.

ამ უპირატესობასთან ერთად პამიდვრის აივანზე გამოზრდას ის სიკეთეც მოაქვს, რომ ღია კარებებში, აივანზე და ოთახში აღარ ფრინდება ბუზი, და სხვა მწერი, მათ პამიდორის სპეციფიკური სუნი აფრთხობს.

აგრონომი ივანე ჯანიკაშვილი

ლუბა შეწირული,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
პროფესორი.

# კანის მოვლა გაზაფხულ-ზაფხულში

ყველა ცდილობს წლის თბილი დღეები ბუნების წიაღში გაატაროს, რადგან მზის სხივები, წყლისა და ჰაერის პროცედურების სწორი გამოყენება ორგანიზმს აკაჟებს, სილამაზე, მხნეობა და ჯანმრთელობა მოაქვს ადამიანისათვის. მაგრამ ალერსიანი მზე მატყუარაცაა, განსაკუთრებით წყალთან და მთაში და მის უმართებულოდ გამოყენებას ჯანმრთელობისათვის ზიანი მოაქვს.

მზეზე დიდხანს ყოფნა ორგანიზმის გადახურებას, გულსისხლძარღვთა ფუნქციის დარღვევასა და ნერვული სისტემის აღგზნებას იწვევს. მზის სხივების დიდი დოზები ავნებს კანსაც და თმასაც. ამიტომ კანის ჰიგიენურ-კოსმეტიკურ მოვლას წლის თბილ თვეებში ზოგიერთი თავისებურება ახლავს.

მზის სხივების ზემოქმედების შედეგად კანის ღია ნაწილებზე, განსაკუთრებით იმათ, ვისაც მომატებული მგრძნობელობა აქვთ, პიგმენტური ლაქები უჩნდებათ, რადგან ულტრაიისფერი სხივები აძლიერებენ პიგმენტის გამოყოფას. შავგვრემანები, რომელთაც ცხიმიანი კანი აქვთ, მზის სხივებს უკეთ იტანენ, ვიდრე მშრალკანიანი ქერები. ქერა ადამიანის კანი უფრო ნაზია, მცირე რაოდენობით გამოიმუშავებს პიგმენტს და მზე ადვილად ეკიდება. ნაშზეური შავგვრემანებში ყავისფერია, ქერებში კი — წითელი და აქერცლილი. ზაფხულის მზე ჭორფლსაც აჩენს და აძლიერებს. ეს კანის თანდაყოლილი თვისებაა, ამიტომ ვისაც ასეთი რამე ემართება — კანს თებერვალ-მარტში უნდა იცავდეს, რადგან გაზაფხულის მზეში დიდი რაოდენობით არის ულტრაიისფერი სხივები. მზის სხივების ბოროტად გამოყენება უპირველესად კანის პიგმენტაციაზე მოქმედებს. კანის ფერი მის ზერელე შრეში პიგმენტ-მელანინის რაოდენობაზე და კანის სისხლსავსეობაზეა დამოკიდებული. მელანინი ორგანიზმს მზის ირადიაციისაგან იცავს. მელანინის არათანაბარი განაწილება კანში პიგმენტური ან დეპიგმენტური ლაქების გაჩენას იწვევს. კანის პიგმენტაციის ფუნქცია ირღვევა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით. შინაგანი ფაქტორებიდან პიგმენტაციის დარღვევას მეტწილად ღვიძლის, ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის მოშლა, ნივთიერებათა ცვლის და ვიტამინების ბალანსის დარღვევა იწვევს, ამიტომ ლაქების მოშორებამდე აუცილებელია მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ძირითადი დაავადების მკურნალობა. საერთოდ, ჭორფლისა და ლაქების მოსაშორებელი საშუალებები ზამთარში უნდა გამოიყენოთ, გაზაფხულ-ზაფხულში კი ამ მიზნით კოსმეტიკური პრეპარატები ხილ-ბოსტნეულით შეცვალოთ. ხილ-ბოსტნეული მდიდარია ვიტამინებით, რომლებიც კანს ასუფთავებს, კარგად კვებავს, ათეთრებს და არბილებს.

ხალხურ მედიცინაში ლაქების მოსაშორებლად ცნობილია ლიმონის, ხახვის, ბოლოკის, პირშუშხას და სხვა ბოსტნეულის გამოყენება. მშრალ კანს კარგად ათეთრებს და არბილებს ხილ-ბოსტნეულის ნიღაბი (ხენდროს, კიტრის, პამიდორის ლიმონისა და არაჟანის თანაბარი რაოდენობა) 10-15 წუთით და მისი ჩამობანის შემდეგ ერთი საათით მკვებავი კრემის სველ კანზე ნაზად წასმა და ქაღალდით შემშრალება. მათეთრებელი ნიღბებიდან მშრალი კანისათვის კარგია ნაღების, ლიმონის წვენის და სამპროცენტიანი წყალბადის ზეჟანგის თანაბარი რაოდენობა. ასეთი ნარევი ბამბით სუფთა კანზე უნდა გადაისვათ და 20-30 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანოთ, შემდეგ მკვებავი წაისვით და შეიმშრალოთ. ნიღბები უმჯობესია საღამოს, დაწოლის წინ გაიკეთოთ, კვირაში 2-3-ჯერ. ცხიმიანი ფორებიანი კანისათვის კარგია ვაშლის, ალუჩის, ხურმის და ლიმონის ნიღაბი, სახის გასაწმენდად კი — კიტრის, პამიდვრის წვენი, მაწონი და კეფირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ, ვისაც ჭორფლის, ლაქებისა და კანის სიწითლისადმი მიდრეკილება აქვთ გაზაფხულ-ზაფხულში დღისით სახლიდან გასვლის წინ დამცველი კრემები უნდა წაისვან. მზისგან ყველაზე კარგი დამცველი კრემებია: „პრიზ“, „ლუჩ“, „შჩიტ“, „ფილტრ“, „ოტ ზაგარა“, „მოლოდოსტ“, „ზემლიანიჩნაია“ და სხვა.

დამცველი კრემის მომზადება სახლშიც შეიძლება: სალოლი და სპირტი თითო გრამი, თუთიის მალამო 30,0 ან სალოლი სამი გრამი და თუთიის მალამო 30,0. დამცველი კრემი სველ კანზე ნაზად უნდა შეიზილოთ და ზემოდან დამცველი პუდრი „კურორტნაია“, „იუჟნაია“, „მანონი“, „მაგნოლია“ ან კიდევ ჩვეულებრივ ვარდისფერი პუდრი გადაისვათ, 50 გრ პუდრს შეიძლება 3 გრამი სალოლი დაუმატოთ, თუ ამ საშუალებებთან ერთად ქოლგით, ფართო ფარფლიანი ქუდითა და მუქი სათვალეებით ისარგებლებთ, კანზე ლაქები არ გაგიჩნდებათ.

ზაფხულში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყლის პროცედურებს, რომლებიც გარდა იმისა, რომ კანს ასუფთავებს, ამშვიდებს ნერვულ სისტემას და ავარჯიშებს ორგანიზმს. ამიტომ სასურველია ყოველ დილით, ვარჯიშის შემდეგ შხაპის მიღება, წყლის სასიამოვნო ტემპერატურის ინდივიდუალური შერჩევით. წყალი სამუშაო დღის ბოლოს დაღლილობასაც გვიმსუბუქებს. ზღვაში ბანაობის შემდეგ სასურველია მტკნარი წყლის გადავლება და სახეზე ზეთის ან მკვებავი კრემის გადასმა, რადგან ზღვის წყალი (რომელიც მრავალ ორგანულ ნარევს შეიცავს) და მზე კანს აშრობს, სამაგიეროდ, ზღვის წყალი კარგია ცხიმიანი კანისათვის.

მზის აბაზანების მიღება სასურველია დილით 12 საათამდე, 10-15 წუთის განმავლობაში, დრო ყოველდღე თანდათან უნდა გავზარდოთ 1,5-2 საათამდე. დანარჩენი დრო კი ჰაერზე უნდა გაატაროთ, მიიღოთ ჰაერის აბაზანები, ყოველივე ეს აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

კანის სისტემატური სწორი ჰიგიენური და კოსმეტიკური მოვლით დიდხანს შეინარჩუნებთ სილამაზეს და ჯანმრთელობას.

# ქულინარია

## კვერცხი ნიგვზით

6 ცალი კვერცხი ჩანგლით კარგად ათქვიფეთ. ერთი ღვინის ჭიქა ნიგოზი, ორი კბილი ნიორი და სულ ცოტა წითელი წიწაკა დანაყეთ მარილთან ერთად. გადმოიღეთ თასზე და გახსენით წყალში ფაფისებურ მასამდე. დაასხით ათქვეფილი კვერცხი და კვლავ აურიეთ. დაასხით კარაქიან ცხელ ტაფაზე, დაახურეთ სახურავი და გააჩერეთ ცეცხლზე 8-10 წუთი. შეიძლება ბრტყელი დანით გადმოაბრუნოთ.

## პრასის ფხალი

2 კგ საშუალო ზომის პრასა კარგად გარეცხეთ და დაუჭრელად მოხარშეთ. გაწურეთ ფრთხილად ისე რომ ფორმა არ დაკარგოს. დანაყეთ ერთი ჩაის ჭიქა ნიგოზი ორ კბილ ნიორთან ერთად. ცალკე დანაყეთ ორი დიდი ძირი ქინძი და წითელი წიწაკა (ნახევარი).

სამი სუფრის კოვზი ძმარი დაასხით თასზე, აურიეთ დანაყილი ნიგოზი, ქინძი და დაუმატეთ ცოტა წყალი, ვიდრე არ მიიღებთ ფაფისებურ მასას. (ძმარი შეიძლება დაუმატოთ).

სათითაოდ აიღეთ პრასა, ამოავლეთ და მოახვიეთ, მიეცით სასურველი ფორმა, ჩააწყეთ ემალის მცირე ზომის ქვაბში და რამდენიმე საათით შეინახეთ. მიტანისას მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.



## კარტოფილი მოხრაკული ხორცით

300 გრ ხორცი დაჭერით ძალიან წვრილ ნაჭრებად და მოხრაკეთ. დაუმატეთ სამი თავი წვრილად დაჭრილი ხახვი და მოხრაკეთ. (თუ ხორცს ცხიმი აკლია, დაუმატეთ კარაქი). დააყარეთ დანის წვერით შავი წიწაკა, დანაყილი ნახევარი ჩაის კოვზი ხმელი ქინძი და დანის წვერით ხმელი სუნელი. მარილი.

საშუალო ზომის მოგრძო კარტოფილი გათალეთ, გამოაცალეთ გული და ამოავსეთ ჩახრაკული ხორცით. ჩააწყეთ ბრტყელძირიან ქვაბში. დააჭერით სამი ცალი წითელი პამიდორი ან დაასხით ნახევარი ჭიქა პამიდვრის წვენი. დაახურეთ სახურავი და დადგით ნელ ცეცხლზე გამზადებამდე. მიტანისას შეგიძლიათ დაუმატოთ არაყანი.



## სტაფილო მოხარშული ბრინჯით

სამი მოზრდილი ზომის ხახვი წვრილად დაჭერით და მოხრაკეთ ნახევარ ჩაის ჭიქა ზეთში. დაუმატეთ მეორე ნახევარი ჭიქა ზეთი და აადუღეთ. ჩაყარეთ 1 კგ წვრილად დაჭრილი (ოთხკუთხედებად) სტაფილო და ჩაშუშეთ, სტაფილოს ჩაყრიდან 10 წუთის შემდეგ ტაფას სახურავი ახადეთ, და კიდევ 15 წუთი ხრაკეთ. შემდეგ დაუმატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა პამიდვრის წვენი, ან სამი საშუალო ზომის წითელი პამიდორი. კარგად აურიეთ. დაუმატეთ ორი ფოთოლი დაფნა, ქინძი და სუნელი — დაფქული, ნახევარი წითელი წიწაკა და ნახევარი ჩაის კოვზი შავი წიწაკა (წითელი წიწაკა შეიძლება გემოვნებით), ერთი კონა წვრილად დაჭრილი კამა და ძალიან წვრილად დაკეპილი ნიორი. მარილი კარგად აურიეთ.

ორი ჭიქა ბრინჯი მოხარშეთ ბევრ წყალში. კარგად გაწურეთ თუშფალანგზე ისე, რომ ფხვიერი იყოს. დააყარეთ გამზადებულ სტაფილოს და ფრთხილად აურიეთ. სუფრაზე თბილი მიიტანეთ.

დიასახლისი ნინო კიკვაძე

გარეკანის პირველ გვერდზე — გურჯაანი — „ჯარისკაცის მამა“ — მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი. მეოთხე გვერდზე — ფოტოეტიუდი. თ. ფურცხვანიძის ფერადი სლაიდი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)
ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/IV-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/V-79 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.3
ტირაჟი 126.000, შეკვ. 1040. უე 00720. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკვე რამდენიმე წელია, რესპუბლიკური ფოტოკლუბის „საქართველოს“ მიერ მოწყობილ მხატვრული ფოტოგრაფიის გამოფენაზე ექსპონირებულ სურათთა შორის ხშირად შეხვდებით ფოტოოსტატი ქალის ნათელა სარდლიშვილის სახელს.

მხატვრულმა ფოტოგრაფიამ ნათელა ჯერ კიდევ 1970 წელს გაიტაცა, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლობდა. სტუდენტმა გოგონამ მორცხვად წარადგინა თავისი ნამუშევრები ფოტოკლუბ „საქართველოს“ სამხატვრო საბჭოში. მისი პირველი ფოტო „სანაპიროზე“, მხატვრული ფოტოგრაფიის ერთობლივი გამოფენისათვის („საფრანგეთი-საქართველო“) ამოარჩიეს, რომელიც 1971 წელს თბილისის საგამოფენო დარბაზ „მერანში“ მოეწყო.

ამის შემდეგ ნათელამ უფრო მეტი მონდომებით დაიწყო ფოტოხელოვნების შესწავლა, თავისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ამაღლება და ახალი გამოფენებისათვის ნამუშევრების მომზადება.

ნათელა სარდლიშვილის საყვარელი ჟანრი პორტრეტი და რეპორტაჟია. იტაცებს საბავშვო თემატიკაც. მისი ნაწარმოებები ლირიზმითა და ბავშვთა სამყაროსადმი დიდი სიყვარულით გამოირჩევა.

დიდი წარმატება ხვდა ნ. სარდლიშვილს 1978 წელს, ხალხური შემოქმედების სრულიად საკავშირო პირველ ფესტივალზეც. საორგანიზაციო კომიტეტმა იგი ფესტივალის საპატიო დიპლომით დააჯილდოვა.

უნივერსიტეტში სწავლისას ნ. სარდლიშვილმა ერთდროულად დაამთავრა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტიც, ფოტოხელოვნების სპეციალობით. ამჟამად იგი, როგორც მეთოდისტი აღმზრდელობით მუშაობას ეწევა სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრში; ამასთან ერთად, ნათელა ი. გოგებაშვილის სახელობის თბილისის პედაგოგიურ სასწავლებელში ტექნიკურ საშუალებათა კურსს ასწავლის, რომლის პროგრამაში ფოტოგრაფიაც შედის.

ს. კილაძე,

საქართველოს რესპუბლიკური ფოტოკლუბის თავმჯდომარე.

ნათელა სარდლიშვილის ფოტოები









6146/81



545
1979

ISSN 0321-1509

ივნისი
№ 6 1979 წ.

# საქართველოს ქალი

